საქართველოს ფოცქვე

ალმანახი № 2

შინაარსი: შიმშილი; ექიმების მოვალეობა—**ვასილ წერეთლისა**, სატრფოვ—სიცოცხლევ! ლექსი—**ი. ბრიშაშვილისა**, სანდრო ქართველიშვილის სამუშაო დღე—**სვ. ყ—ნისა**, შინაური მიმოხილვა,—მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან—**იპ ვართაგავასი**, საინგილოს შეერთება რუსეთთან—**ზ ედილისა**, ქართული სამართლის ისტორია—**ივ. ჯავახიშვილისა**.

8 ნოემბერი. კვირეული საპოლიტიკო, სამეცნ. და სალიტ. ალმანახი 1909 წ.

შიმშილი.

ბუნება და ადამიანი შეერთდენ და მოვესწარით იმას, რაც ჩვენ ცხოვრებაში წინედ გაუგონარი იყო: შეეკვეცა ფრთა ჩვენს ამაყობას, გვეწვია შიმშილი. ხალხი მაინც და მაინც არას დროს არ ყოფილა გალაღებული, ის საუკუნოებით შეეჩვია გაჭირვებას, სანახევროდ შიმშილს. მაგრამ დღემდის ჩვენში თავი მაინც გაქონდა და სამათხოვროდ სხვას ხელს არ გაუწვდიდა. და სწორედ მეტად დამამცირებელი, პიროვნების მომსპობი და შემხუთველი არის მათხოვრობა. ხალხი ყოველთვის ალღოთი გაურბის მათხოვრობას, მით უმეტეს, რომ მან კარგად იცის ბრძნული ანდაზა: „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“. მას არც ესაჭიროება სხვისთვის ხელის გაწვდა. მას უნდა მხოლოდ თავისი მარჯვენა ამუშაოს. მიეცით ისეთი პირობები, რომ ამ მარჯვენის ამუშავება შეეძლოს და ისიც კმაყოფილი იქნება. ამიტომაც ცოტაოდენ კულტურულ ქვეყნებში, როცა ბუნების ძალები ხალხის ნაამაგარს გაანადგურებს და შიმშილი კარზე მოადგება ხალხს, მაშინ სახელმწიფო თუ სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოაწყობენ საზოგადოებრივ სამუშაოებს, გაჰყავთ ახალი გზები, აგებენ საზოგადოებრივ შენობებსა და სხ. ამ გვარად ხალხსაც საშუალება ეძლევა თავისი შრომით ლუკმა პურის მოპოებისა და შრომაც ნაყოფიერად, საზოგადოებისთვის სასარგებლოდ იხარჯება. მაგრამ განა ჩვენში ეს შესაძლებელია? თუ ბუნება გაგვიწყრა, თუ მის წყრომის შესახვედრად მოუმზადებელნი დავრჩით, ისიც აშკარაა, რომ ორი მესამედი დღევანდელი გაჭირვებისა შექმნილია თვით ადამიანებისაგან, იმ ადამიანებისაგან, რომელნიც წესიერების და კეთილ განწყობილების დამყარების მაგიერ ხალხს იკლებდნენ, არბევდენ, სდევნიდენ და ამით რაც ბუნებისაგან გაჭირვებას განვიცდიდით, ამ გაჭირვებას აორკეცებდენ და ასამკეცებდენ. ხალხი ბუნებისაგან მოძულებული, დარბეული და აკლებული შიმშილის პირზე მიდგა. ვისაც წელს ზაფხულის მიწურულზე იმერეთში გაუვლია და თავის თვალით უნახავს სიცხით გადამწვარი ყანები, ვინც ჩვენს გაზეთებს თვალ-ყურს ადევნებს, იმისთვის ცხადზედ უცხადესია, რომ შიმშილი თითქმის მთელ იმერეთისათვის აუცილებელია. სიმინდი, ეს იმერეთის უმთავრესი საკვები წყარო, ბევრ ადგილას სულ არ მოსულა და სადაც მოვიდა, იქაც პეპელა გაუჩნდა და იღუპება. ასეთ მდგომარეობაში, ასეთ აუტანელ გაჭირვების დროს ჩვენი მოვალეობაა ყოველი ღონე ვიღონოთ, შემოვიერთოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე და დამშეულთ დავეხმაროთ, რათა რაოდენადმე მაინც შევამციროთ გამანადგურებელი გავლენა სახალხო შიმშილისა. ხოლო სანამ რაიმე ღონეს ვიღონებდეთ, საჭიროა დაუყოვნებლივ შეეუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ რამდენად მოგველის დამშევა. ამისათვის არაა საკმარისი საგაზეთო ცნობები, რომელთაც სისტემატიური და საფუძვლიანი ხასიათი არა აქვთ. საჭიროა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს. მაგრამ რომელ საზოგადო დაწესებულებას შეუძლია ასეთი საქმის შესრულება? ვფიქრობთ, დღევანდელ პირობებში ერთად ერთი გზაა, რომ ყოველ საზოგადოებაში სოფლის მართველობამ შეგნებულ პირების დახმარებით შეაგროვოს დაწვრილებითი ცნობები სოფლის მდგომარეობის შესახებ. შემდეგ ამ ცნობებს თავი უნდა მოუყაროს რომელიმე საერთო დაწესებულებამ, შეისწავლოს და ამ ნაირად საერთო სურათი წარმოგვიდგინოს. ამისათვის საჭიროა შემუშავდეს საერთო ცხრილი საჭირო ცნობების მოსათავსებლად და დაეგზავნოს სოფლის საზოგადოებებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელ პირობებში საუკეთესო იქნება, თუ ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება. თუ ის არ იკისრებს, მაშინ საჭიროა გამოვაცოცხლოთ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის არსებობის შესახებ ამ ბოლო დროს აღარაფერი ისმის. იმედია, ის პატივცემულნი პირ-

ნი, რომელნიც ამ საზოგადოების გამგეობაში შედიან, არ დაიზარებენ და შეგვატყობინებენ, თუ რა მდგომარეობაშია საზოგადოება, ან დაიკისრებენ ისინი ამ საქმის ხელმძღვანელობას თუ არა. მარტო წუწუნი და ჩივილი არაა საკმარისი. აქედან-ვე საქმეს უნდა შევუდგეთ, გავითვალისწინოთ გაჭირვება და რამდენადაც შეგვეძლება ყოველი ღონის ძიება ვიხმაროთ, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს რაოდენადმე მაინც შევუმსუბუქოთ მდგომარეობა.

ექიმების მოვალეობა.

თუმცა საზოგადოდ ყოველი მხრით დაქვეითებულია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ყველაზე უფრო მკურნალობის მხრით არის ჩამორჩენილი. ხალხი დაჭიანებულ-დასნეულებულია და არავინ თავს არ იწუხებს ხალხის ჯანმთელობის გაუმჯობესებისათვის.

ყველამ იცის, რა საშინელ მდგომარეობაშია ხალხის ტან-მთელობა. ლამაზს, ცოცხალს, სისხლ-ჭარბს, მხიარულ ადამიანს ძნელად-ღა შეხვდები. ყველას ჩამოუტირის სახე, ასში ოთხმოც-და ხუთ-მეტი ფერ მკრთალი, გამხდარი და ღონე-მიხდილია. წინამხარში (კახეთში) ამას წინად რამდენჯერმე დავესწარი დღეობას და აუარებელ ქალთა შორის ერთი ვერ ვნახე სიცოცხლით სავსე და ჯან-საღი. ჭლექი, ეს საშინელი სენი, დარევია ხალხს, დაუგდია აუარებელი სნეული, ძირი გამოუთხრია ხალხის კეთილდღეობისათვის. გამხდარ, გაფითრებულ, მუცელ-მიფენთხილ იმერელს რომ უცფად მოუწინწილდება ხოლმე გული, სულ-მოკლე და მოუთმენელი რომ არის, ამის მიზეზი ჭლექია და არა სიფიცხე, არა სისხლის სიჭარბე.

ეს ორი წელიწადია ქუთაისში ვმკურნალობ. ჩემ მიერ გასინჯულ ავადმყოფთა შორის თითქმის ნახევარი ფილტვებით სნეულია. ამგვარ ავადმყოფს სულის ამოთქმა უჭირს, სიარული ეძნელება ხშირად, გვერდი სტკივა (პლევრიტიანს), ღამე ოფლი სდის, ახველებს, ნახველს აფურთხებს, სუსტია, მუშაობა არ შეუძლია და მეტ ბარგად გახდომია თავის ოჯახს.

რა საშინელი მდგომარეობაა, როცა ოჯახის მრჩენელი მამა დავარდება ან როცა დედა, ჭლექით სნეული, ჭლექს აჩუქებს თავის ქმარ-შვილს? ჩვენში ხომ ასეა: თუ ოჯახში ერთი წევრი გახდა ავად ჭლექით, მისგან სხვებსაც გადაედებათ ეს საშინელი სენი უკულტურობისა და გაუფრთხილებლობისა გამო.

დიაღ, საშინელი სურათი მიდგია თვალ წინ. თითქო ვმრავლობთ, მცხოვრებთა რიცხვი იზრდება, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს სნეულთა გამრავლებას?! საჭიროა დროზე ვუშველოთ საქმეს, ასე ღვთის ამარა მიტოვება ხალხისა მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩავთვალოთ.

გამოვარკვიოთ მთავარი მიზეზები ჩვენი ერის ფიზიოლოგიური გადაშენებისა.

პირველად უნდა ვახსენოთ მრავალჯერ ხსენებული შიმშილი, ქრონიკული, ყოველ-დღიური. ხალხს საზრდო აკლია. უმეტესობა სიღარიბის გამოა დამშეული, უმცირესობა კი ჩვეულებისა გამო. სოფლელი მიჩვეულია დაზოგვას: კიდევაც რომ ქონდეს, მაგალითად რძე, ყველი, კვერცხი, თვითონ არას ჭამს-რა, ჰყიდის, ზოგავს, ინახავს. არ ფიქრობს, რომ შემცირებული, დაკლებული საზრდოობა ტანს ასნეულებს. მეტადრე დედა-კაცები იკლავენ თავს შიმშილით. ზამთარში მიწიანი, გაურეცხელი ფქვილის პური, ან გამხმარი მჭადი, ზაფხულში ეკალა, მხალი და სხვა-და-სხვა ბალახეულობა. დაუმატეთ ამას კიდევ ლობიო და სასმელად გაუწმენდელი არაყი, ან ძმარ-ღვინო. ეს არის ჩვენი გლეხის საზრდო. უბედურება ის არის, რომ არ იციან შედეგი ამგვარი საზრდოობისა და, როდესაც სნეულდებიან, უკვირთ.—რატომ და საიდან გაგვიჩნდა სენიო!

არა ნაკლები წილი უძევს ჩვენს დაბეჩავებაში უმეცრებას, რომელიც მჭიდროდ არის შეკავშირებული სიღარიბესთან. ზოგიერთი ექიმების ფიქრით ჭლექს სიღარიბე კი არა ქმნის, არამედ უმეცრება. ეს აზრი, რომ გადაჭარბებული არ იყოს, ჭეშმარიტებასთან ახლოს იქნებოდა.

ჯერ ერთი: თვით შიმშილი ერთი მხრით უმეცრების შედეგია. მრეწველობისა და მეურნეობის აყვავება განა შესაძლებელია მეცნიერების დაუხმარებლად? უმეცრების სიბნელეში ისე ვერ გაუმჯობესდება ვერც ერთი დარგი სიმდიდრისა, როგორც უსინათლოდ ვერ გაიხარებს მცენარე ანუ ცხოველი.

მერე, როგორც ზემოდ ვთქვით, ჩვენში თავის მოვლა მდიდარმაც კი არ იცის. ბევრია შეძლებული ოჯახის პატრონი, რომელიც ცუდად საზრდოობს და ქონებას კი ინახავს. მიზეზი, ცხადია, უმეცრებაა. არ იციან, რომ უკმელობა ბადებს ჭლექს და საზოგადოდ ყოველგვარ სნეულებას. ერთ მოვლენას, რომელიც ექიმ ვ. ღამბაშიძეს შეუნიშნავს, მეც ხშირად დავკვირვებივარ. ადამიანი მიჩვეულია უკმელობას, დაუკარგავს მადა, გამხდარა, დასნეულებულა და ფიქრშიაც არ მოსვლია, რომ

მისი სენის მიზეზი უპმელობაა. რასაკვირველია, თვით უპმელობასა და უმადობასაც თავისი მიზეზები აქვს. ზოგს ბავშვობაში შეუძენია ეს მავნებელი ჩვეულება სიღარიბის გამო და მას უკან, თუმცა უკეთეს ბედში ჩავარდნილა, მაგრამ ველარ მოუშლია ერთხელვე შეძენილი ზნე. ზოგს თავიდანვე დაყოლია ავადმყოფობა ან კუჭისა ან პლევრისა ან სხ., რის გამოც ჭამის მადაც არა ჰქონებია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უპმელობას ხელს უწყობს უცოდინარობა. ავადმყოფი საპმელს არა სჭამს არა მარტო იმიტომ, რომ მადა არა აქვს, არამედ უფრო იმიტომ, რომ არ ფიქრობს, თუ უპმელობას ზიანის მიყენება შეუძლია მისი ტან-მთელობისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას საცხოვრებელ ბინის შესახებაც. თითქმის არსად მოიპოვება რიგიანად მოწყობილი სახლი. იშვიათად ნახავ ისეთ სახლს, რომ ქონდეს ან შავი იატაკი ან გერმეტიული ბუხარი ან დახურული შესავალი. ცხოვრობენ ფარღალა ოთახებში, სადაც ქარი თავისუფლად შემოქრის. ამას კი შემდეგ მოსდევს პლევრიტი, ბრონხიტი, ფილტვების ანთება, რევმატიზმი და სხ.

არ იციან ტანის შემოსვა რიგიანად. შინ და გარედ ერთგვარად აცვიათ: ახალუხი და ჩოხა; ეს არის ერთად-ერთი ტანის-სამოსი მეტ წილად. დავანებოთ იმას თავი, რომ ერთობ ბევრი დრო უნდა ჩოხისა და ახალუხის ჩაცმა-გახდას და ამგვარი ტანსაცმელი უსაქმურ კაცს უფრო შეეფერება ვიდრე მშრომელს. ბევრად უფრო სამწუხარო და საუბედურო ის არის, რომ ზაფხულში და ზამთარში, შინ და გარეთ. ერთგვარ ტანსაცმელს ატარებენ. ეს გარემოებაც, რასაკვირველია, ხელს უწყობს ფილტვების ავადმყოფობას.

და განა მარტო ჩამოთვლილი ნაკლულოვანებანი სჭირს ჩვენს ხალხს? განა იციან, რა დროს უნდა და რამდენი ხანი ფიზიკური, ან გონებრივი მუშაობა? რა დროს რა უნდა ჭამოს და რამდენი? განა იცის ვინმე ჰიგიენა სქესობრივი მოთხოვნილებისა? განა ესმის ვისმე მნიშვნელობა, ღირსება და ნაკლი ჰაერისა, წყლისა, ნიადაგისა და სხ.!? განა უწყის ვინმე განმანადგურებელი მნიშვნელობა თამბაქოსი? განვიმეორებთ კვლავ: ჩვენს ხალხს სრულიად არა გაეგება-რა თავის მოვლისა, ჰიგიენისა.

ჰიგიენის საკითხში ერთდებიან აგრონომია, პოლიტიკური ეკონომია და სამკურნალო მეცნიერება. რასაკვირველია, მკურნალის საქმე არ არის იმის გამოკვლევა, ძაძა უფრო უძლებს გვალვას და მიწის სიმწირეს და უფრო მარგებელია საქონლისათვის, თუ იონჯა, ფოსფორიტი სჯობია თუ ნეხვი და სხვ. მაგრამ მკურნალი მოვალეა სამკურნალო მეცნიერების თანახმად, იქადაგოს რძის წარმოების აუცილებლობა ხალხის ჯანმთელობისათვის.

საზოგადოდ ქართველს ჯერ ისევ ძველებურ ჩვეულებათათვის ვერ უღალატნია და სრულიად არა გაეგება-რა ჰიგიენისა.

ჯერ ერთი: თუ ღმერთმა უწყალობა, სვამს ღვინოს უზომოდ.

მეორე: არ უყვარს სისუფთავე. ტანს არ იბანს, საცვალს არა რეცხს. ავტორს, როგორც მკურნალს, ღარიბ ხალხთანა აქვს საქმე და ნება აქვს საჯაროდ დაამოწმოს საშინელი სიბინძურე და უსუფთაობა ჩვენი ხალხისა; როდესაც ავადმყოფი ტანთ გაიხდის, ისეთი საშინელი, მძაფრი სუნი გეტაკება ცხვირში და გაგაბრუებს, რომ, თუ მაგარი ნერვები არა გაქვს, ცოტა ხნით უთუოდ მეორე ოთახში უნდა გახვიდე სულის ამოსათქმელად.

მესამე: არ ვიცით ერთმანეთის მორიდება, არ ვუფრთხილდებით ერთი მეორეს. ერთი საბანი ახურავს ხუთ-ექვს კაცს და, თუ ერთს რამე სენი სჭირს, სხვებსაც ედება. ვისაც ნახველი ამოსდის ფილტვებიდან, პირდაპირ იატაკზე ან სოხანეზე აფურთხებს საფურთხებელის უქონლობის გამო, და, თუ ნახველში ჭლექის ბაცილებია, დახვეტის დროს ჰაერში იფანტებიან და ჩაუდისთ ფილტვებში იქ მყოფთ. მთელ ჯალაბს ერთი პირსახოცი აქვს; მთელი ჯალაბი ერთი ჭიქით სვამს წყალს, ღვინოს. ხშირად ერთი მეორის ნიფხავ-პერანგს იცვამენ და სხვა.

განათლებულ საზოგადოებაში უზრდელობად მიაჩნიათ, რომ შენი ჭიქა სხვას მიაწოდო, ან სხვისი პირის საწმენდით გაიწმინდო პირი, ან სხვისი პირსახოცით პირი შეიხოცო, სხვის საბანში ჩაწვე, მეტადრე სხვისი ნიფხავ-პერანგი ჩაიცვა.

ყველაზე უფრო ბავშვები მეცოდებიან, მეტადრე თუ ლამაზები არიან. ვინ აღირსებს ჩვენში ბავშვს საკუთარ პირსახოცს, ჭიქას, საბანს და სხვ. დედასთან ერთად წევს და სული ეხუთება. ამას გარდა ყველას და მეტადრე დედას მოვალეობად მიაჩნია უთუოდ უკოცნოს და ულოშნოს ენით ბავშვს ტუჩები! რა საზიზღარი ჩვეულებაა! რამდენი ბავშვი გამხდარა ამ პირუტყვული გრძნობის მსხვერპლი.

და განა მარტო ამით თავდება ჩვენი კულტურული დაქვეითება?

დიაღ, უნდა გულ-ახდილად ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ აზიელები ვართ, ბევრი რამ გვაკლია, ვიდრე ევროპიულ ზნე-ჩვეულებათ შევითვისებდეთ.

როგორცა ვთქვით, არც მარტო სიღარიბეა ამის მიზეზი. უცოდინარობასაც დიდი წილი უძევს ჩვენს კულტურულ დაქვეითებაში.

და ჩემი ფიქრით ექიმების პირდაპირი მოვალეობაა მიაწოდონ ხალხს ჭეშმარიტი ცოდნა თავის მოვლის შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრით სახალხო წიგნაკების გამოცემას, მაგრამ ამ საქმეს წინ ეღობება ერთი მხრით თვით ექიმების სიღარიბე და მეორე მხრით ის სამწუხარო მოვლენა, რომ ხალხის უმეტესობამ წერა-კითხვა არ იცის. ამას გარდა ცოცხალი სიტყვა უფრო ებეჭდება მეხსიერებაში მსმენელს. მოვუწოდებ ამხანაგ ექიმებს გამართონ საჯარო ლექციები, სადაც კი შესაძლებელია; თუ მცირეოდენ დროს მაინც დაუთმობენ ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს, ნაყოფი უზომო, დაუფასებელი იქნება.

ვასილ წერეთელი.

საკრფოვ—სიცოცხლევ!

—

სევდის ღრუბელი ცრემლებს მაწვიმებს,
ყვავ-ყორანთ ხროვა მიახრის მე საფლავს;
გრიგალი ქარი გულის ნაზ სიმებს
ამსხვრევს... ნორჩ რწმენას გულშივე მიკლავს.

* *
*

მე მაშინ ვსტირი, დაობლებული,
ვსტირ, უბედური;
თვალთგან გადმოსჩქეფს ცრემლთ ნაკადული,
ცრემლი ციური!..

* *
*

ნიავი, ვით ტოლს, მესაუბრება,
ყვავილთ ბუჩქნარნი მიძღვნიან სალამს;
მთვარე სხივებს მფენს, მიცინის, სტკბება,
მგოსანს—დაჩაგრულს,—მიმკობენ კალამს!..

* *
*

მე მაინც ვსტირი, დაობლებული,
ვსტირ, უბედური;
თვალთგან გადმოსჩქეფს ცრემლთ-ნაკადული,
ცრემლი ციური!..

* *
*

სატრფოვ—სიცოცხლევ! მომხედე ბედკრულს,
გამომიწოდე ხელი მთრთოლვარე
და მრავალ-ტანჯულს, ობოლს, შენს ერთგულს,
კოცნით შემიშრე ცრემლი მდულარე!..

ი. გრიშაშვილი.

სანდრო ქართველიშვილის სამუშაო დღე.

—

დიღის ათი საათი იქნებოდა. რბილსა და სუფთა ქვეშსაგებში მძინარე სანდრო ქართველიშვილმა ვეღარ გაუძლო გამცოცხლებელ ძალებით ადგსილსა და მხიარულს მზის სხივებს, რომელნიც უხვად მოჭფენოდნენ სანდროს ოთახს და სახე დადმეჭილმა გვერდი იბრუნა, მზის სხივებს თავი მოარიდა,—მაგრამ უცბად თითქოს რაღაც მოაგონდა, თოფ-ნაკრავივით უკანვე გადმოტრიალდა, თვალები გაახილა და გაოცებულმა ოთახს დაუწყო თვალიერება.

დიდხანს ვერ მოისაზრა, ვინ იყო, სად იყო და რა საქმეში იყო ჩაბმული; ბოლოს როგორც იყო იცნო თავისი ვინაობა, ნახა, რომ თავის ოთახში, თავის ლოგინში ეძინა და კანცვიფრება მის სახეზე თანდათან გაჭქრა, მაგრამ იმავე წამში ედვის სისწრაფით კანცვიფრება უჩინარმა და უთავბოლო ტანჯვამ შესცვალა.

ძილის შეუსრულებლობის მიზეზი იყო თუ სხვა რაღაცა უსიამოვნო გრძნობა უტრიალებდა გულში, სანდროს თვალები ერთს წერტილზე ვერ შეეჩერებინა, სახის ყოველი ძ რღვი უთამაშებდა და მთელი სხეულით ლოგინში ტოკავდა, ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე, ხან ზირს ადმა იზამდა და ლოგინში მადლა შეიწევდა, მაგრამ სიმშვიდეს ვერ ბოულობდა და უმიზეზო ტანჯვას ზედ ნამდვილი ტანჯვა ემატებოდა.

ქუჩაში ხალხი მოძრაობდა და უსიამოვნოდ გუგუნებდა. ტრამვაის ზარის წკარუნისა და ცხენების თქარა-თქურისაგან სანდროს ოთახის ფანჯარა ზანზარებდა და შუშებს წკრიალი გაჭქონდა. ქალაქს დიდი ხანია უკვე გაეღვიძა და მისი მცხოვრებნი ლუკმა პურის საძიებლად ქუჩებს მოჭფენოდნენ.

სანდრო გადასწვდა მაგიდაზე დაწყობილ სპიჩკასა და პაპიროზს, სიჩქარით მოუკიდა და უსიამოვნოდ დაუწყო წევა. ამ დროს შუა კარები გაიღო და ოთახში ნელის ნაბიჯით შემოვიდა ლამაზი სახისა, მადალ-მ დალი, გამხდარი ტანის ახალგაზდა ქალი.

დია კარებიდან ოთახში შემოიჭრა ჩაის ჭურჭლის ხმაურობა და ბავშვების წვრილი, მომტირალი ხმები.

ტოლის დანახვაზე სანდრომ სახე უცბად შეიცვალა, დამნაშავის სახით გაუღიმა და ნაძალადევის მხიარულობით შესძახა.

—დილა მშვიდობისა, ჩემო კარგო! როგორა ხარ? ბავშვები ადგნენ? ჩაი ხომ დალიეთ? რომელი საათია? მგონია, დამიგვიანდა...

—ჩაი დიდი ხანია მზადაა—წყნარად უპასუხა ტოლმა—შენ გიცდიო, რატომ არ ადგები? ხომ არა გძინავს!

—ამ საათში, ჩემო კარგო, ამ საათში! ოჰ, რომ იცოდე რამდენი საქმე მაქვს დღეს!—სანდროს სახემ

ისევ ის ტანჯვის გამოხატულება მიიღო.

— წუხელი რა დროს დაბრუნდი? ჰკითხა ცოლმა და თვანჯრების თვრდები გასწია.

— წუხელი? ორ საათზე დავბრუნდი, კრება მეტის მეტად გაგრძელდა, შემდეგ ვახშმის საჭმელად წავედით, ადარ მოგეშვნენ... ოჰ, რა სიტყვა წარმოვსთქვი წუხელი კრებაზე—უცბად შესძახა სანდრომ და სახე აუმოძრავდა —ვერ წარმოიდგენ, რა კარგად მომივიდა. მთელმა კრებამ ტაში დამიკრა. იცი შენა, ჩვენმა ივანაშკილმა, რა ხულიგანური აზრი წარმოსთქვა?! წარმოიდგინე პირდაპირ თავად-აზნაურულ ბრინციპების დამცველად გამოვიდა!! ველარ მოვითმინე; წამოვდექი და სწორედ გეუბნა, ადარ დამიზოგავს .. ცოტა გადავამლაშე კიდეც, მაგრამ ახია იმაზე! მაგას თუ ხანდახან ცივი წყალი არ გადავასვლეთ, იცი, პირდაპირ მემარჯვენე ოქტობრისტის პოზიციას იჭერს! კრება რომ გათავდა და კარში გამოვდიოდით უარბახიანცი მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა და მითხრა: გმადლობთ, გმადლობთ ალექსანდრ პეტროვიჩ, ივანაშვილი საუცხოოდ გაჯორეთო. არა, ვერ წარმოიდგენ შენ, როგორ შეიცვალა ეგ კაცი!—ამ დაპარაკის დროს სანდროს სახე სინემატოგრაფის სისწრაფით იცვლებოდა, მხიარულებას სევდა სცვლიდა, სევდას —მუქარა, მუქარას ბავშური ადტაცება, ადტაცებას დადლილობა, დადლილობას თავის თავის კმაყოფილება.

— დღესაც გაქვს კრება?—იმავე წენარი სევდიანი კილოთი შეეკითხა ცოლი.

— რაგორ არა, რაგორ არა, დღეს, მე მგონი, გათავდება, საგანი მთლად გამოიარეს, საქმე კენჭის ყრაზეა მიმდგარი, ჩვენს წრეს რეზოლიუცია უკვე შედგენილი აქვს...

— მაშ სადილად დღესაც არ მოხვალ?

— შეიძლება დავიგვიანო, ეოგელ შემთხვევაში ნუ მოიცდით, ერთხელვე მითქვამს მე შენთვის, ჩემო კარგო რომ სადილად ნუ მიცდით...

— განა არ შეიძლება, რომ...—დაიწყო ახალგაზდა ქალმა, მაგრამ სანდრომ სიტყვა უცბად მოუჭრა

— არ შეიძლება, ჩემო კარგო, არ შეიძლება! იმდენი საქმე მაქვს, იმდენი, რომ... აბა როგორ განვსაზღრო დრო? ხანდახან მოხდება ხოლმე, რომ გაზეთს მასალა აკლია და ოთხ საათზე დამჭირდება ხოლმე რაიმე წერილის დაწერა, ხან კიდევ რა გამომიტყვრება, ხან რა... არა, ჩემო კარგო, ნუ გამიწყრები—სანდრომ ლოგინში წამოიწია, გადასწვდა და ცოლის ხელი ტუჩებთან მიატანა—შენ ხომ კეთილი ადამიანი ხარ, ჩემო კარგო, და გიუვარვარ კიდეც, არა?

ახალგაზდა ქალს ტუჩებმა გაუდიმა.

— ადექი კარგი, ადექი—უთხრა იმან და ნელის საბიჯით ოთახის კარებისკენ გაემართა.

— ავდგები, ჩემო სულიკო, აი ამ საათში...

— რომელი საათია?

— ათი სრულდება.

— უჰ, დავიგვიანე, აბა, ჩაი მზად იყოს, ამ საათში გამოვალ.

ცოლი რომ გავიდა, სანდრო სრულიად გამხიარულდა, ტანისამოსის ჩაცმას საჩქაროდ მიჰყო ხელი და თან უცნაურ კილოზე და უცნაურ მოტივზე დაღიღინებდა.

სანდრო მეტად ცდილობდა ტანისამოსის ჩაცმას და ალბად ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ტანისამოსს თავის დროზე ვერ ჩაოულობდა და გამოწყობას ვერ ახერხებდა. ერთ რასმეს რომ ჩაიცვამდა, გაჩერდებოდა და აქეთ-იქით უაზროდ იცქირებოდა, ადარ იცოდა, შემდეგ რა მოსდევდა, რა უნდა ჩაეცვა.

— ეჰ!.. დასწყევლა დმერთმა!.. ჰოო... აგერ!.. ეს რადა იქნა?!—ბუზღუნებდა სანდრო და ხან აგდებოდა, ხან დაჯდებოდა, ხან ლონე მიხდილი ბალიშზე მიესვენებოდა.

ოთახის კარები კვლავ გაიღო და ცოლმა გამოსძახა:

— აკი ამბობ, დამიგვიანდაო, რადას უეურებ, ჩაი გაცივდა!

— ახლავე, ახლავე, ჩემო კარგო,— სანდრომ როგორც იყო ჩაიცვა რაც საჭირო იყო, და პირისაბან ოთახისკენ გაემართა, მაგრამ უცბად კარები გაიღო და გამოჩნდა მოსამსახურე ოსის დედაკაცი პატარა ბავშვით. დედაკაცი კარებში გაჩერდა და სულელური დიმილით ბავშვს ეუბნებოდა:

— აი, გენაცვა, მამა... მამაი!

სანდრო შეჩერდა, პატარა ხანს ჩაფიქრდა და ბავშვისკენ გაექანა:

— ჩემი ბიჭი, ბიჭიკუნა... მოდი, გენაცვა, მოდი მოდი!—მიუალერსა სანდრომ და ბავშვი ხელში აიყვანა, თან მოსამსახურეს ედაპარაკებოდა:

— ძიძა, წუხელი ხომ არ უტირია?

— არა, ბატონო, არ გიტირია, ისე კარგად გეძინა, რომ...

— კარგად ეძინა? კარგად სძინებია ჩემს ბიჭიკოს... ხომ კარგადა სჭამს, ჰა, ძიძა?

— კარგადა სწამს, გუსინ ველარ გაგაძღე, იმდენი წამე—უპასუხებდა ძიძა გახარებული, რომ ბატონი ესაუბრებოდა.

— ჰოო, ბევრი არა ჭამო, ბიჭიკო...

— შენ კიდევ არ ჩაგიცვამს?! თერთმეტი საათია უკვე!

შესძახა კარებში გაჩერებულმა ცოლმა.

სანდრო დაფაცურდა.

— ჰო, ჰო, რომელი საათია?! ოჰ, დამიგვიანდა, დამიგვიანდა... აი, ძიძა, დაიჭირე ბავშვი... ახლავე, ახლავე, ჩემო კარგო, ჩაი ხომ მზად არის?—სანდრომ

ბატარა ხანს იტრიალა ოთახში, ბოლოს მოისაზრა და ბირისაბან ოთახში საჩქაროდ შევიდა.

— მართლა თერთმეტი საათია! აბა ჩემო კარგო, ჩაი დამალევინე, ჩქარა, ჩქარა—ეუბნებოდა ის ცოლს და თან ფაცხი-ფუცხით ივარცხნიდა თავს, საყელოს იკეთებდა და წასასვლელად ემზადებოდა.

— სანდრო!—შეაჩერა ცოლმა, როდესაც სანდრომ საჩქაროდ ცხელი ჩაი დალია და წმოდგა.—რომ მიდიხარ ანგრე...

— ვიცი, ვიცი, რაც გინდა მითხრა—შეაწყვეტინა სანდრომ ცოლს სიტყვა—შინაურ წაქმეებზე გინდა მომელაპარაკო, არა? მაგრამ—სანდრო მიუახლოვდა ცოლს და ორივე ხელი გამოართვა—შენ ხომ კარგად იცი—საცოდავი კიდოთი დაიწყო იმან—რომ მე მაგ საქმეებისა არა გამეგება რა. შენ ხარ ჩემი სასახლის მინისტრი, როგორც გინდა ისე მოიქეცი, ოღვლიეე განაგე შენი სურვილისამებრ...

— კარგი, მაგრამ, ფული?!

— ფული?! ფული!—დაიდმიჭა სანდრო და ცოლის ხელები გაუშვა—ფულს ვიშოვნი, ვიშოვნი—უცბად მხიარულად შესძახა სანდრომ—რამდენი გინდა? აი, მე დღესვე... ერთის სიტყვით ვიშოვნი სადმე, ვიშოვნი... ბიჭიკუნა, ბიჭიკო!—მიუბრუნდა ის ბავშვსა, შემდეგ ისევ ცოლისკენ შემოტრიალდა.—ხომ არ მიჯავრდები, ჰა, ჩემო კარგო? მიჯავრდები?

— შენზე რომ არ შეიძლება გაჯავრებბა—გადიქნია თავი ასალგაზდა ქალმა და მწარედ გაიღიმა.

ეს სიტყვები სანდროს ადარ გაუგონია საჩქაროდ ჩაიცვა პალტო, დაიხურა ქუდი და კარში გავიდა. აქ თავისუფლად ამოისუნთქა, თითქო უსამოვნო საქმეს თავი დაახწია და დამშვიდებული სახით, მხიარულად და ამპარტავნულად დიდ ქუჩისკენ დაეშვა.

(დასასრული იქნება).

სვ. ყ—ნი.

შინაური მიმოხილვა.

ყოველ ხალხში ხშირია ის მოვლენა, რომ გამოჩენილი მოღვაწე, შორს მჭვრეტელი აზროვანი, ოცნებით სავსე მგოსანი, ნიჭიერი რეფორმატორი თავის სიცოცხლეში ვერ ჰპოებენ დაფასებას, ხშირად დევნას განიცდიან და თანა-მემამულეთა მიერ ათვალწუნებულნი სულს ლევენ, მაგრამ რაც უნდა იყოს, ისეთ მდგომარეობას ვერც ერთი ხალხის მწერალი ვერ განიცდის, როგორიცაა ჩვენში დღეს. უთვალავი ხელნაწერები, შესანიშნავი გამოკვლევანი ქართულ ენაზე, რომელნიც დღეს ამკობენ სხვა და სხვა მუზეუმებს, მოწმობენ, რომ წინეთ, ძველ დროში, ჩვენში მწერლობას აფასებდენ, პატივს სცემდენ და ხალხს იმდენი შეგნება და ძალა ჰქონდა, რომ თავის წარჩინებულ შვილებს მუშაობის საშუალებას აძლევდა, ამხნევებდა მათ ზნეობრივათ, ასაზრდოებდა ქონებრივად. დღეს კი სულ სხვა ხანა დაგვიდგა. ჩვენი კუდ შემწვარი ინტელიგენტობა არც თავის ხალხისთვის ვარგა და არც სხვისთვის, ხალხი კი ათას მხრით შევიწროებული თავის თავსაც ძლივს უძღვება. ასეთ პირობებში იშვიათია ისეთი ქართველი, რომელიც თავის ნიჭს აჰყვეს, არავითარ დაბრკოლებას არ დაერიდოს და თავის სიცოცხლე თავის ერს მსხვერპლად შესწიროს. ერთს ასეთს ქართველთაგანს ეკუთვნის ჩვენი მწერალი ეგნატე ნინოშვილი. მისი პიროვნება ეს შეუწყვეტელი ტანჯვაა ხალხის კეთილდღეობისათვის, შეუწყვეტელი მისწრაფებაა მის გაღვიძებს და აღორძინებისათვის. და აი მუდამ გაჭირვებული, მუდამ მშიერ-მწყურვალი, ბოლოს დასნეულებული, შეუდრეკელად მებრძოლი ესალმება წუთი სოფელს. ის ჩვენი აუტანელი ცხოვრების მსხვერპლია. მით უფრო მიმზიდველი და წარმტაცია მისი პიროვნება და აი კიდეც მადლიერი თანამემამულენი ცდილობენ მას ძეგლი აუგონ, რისთვისაც უკვე საგრძნობელი თანხაა შეგროვილი. ხოლო ახლა გადასაწყვეტია, სად უნდა დაედგას ეს ძეგლი. ზოგს სურს ტფილისში, ზოგიც იმის მომხრეა, რომ ძეგლი დაედგას ოზურგეთში. ჩვენც ამ უკანასკნელ აზრის მომხრენი ვართ. ძეგლის დადგმას ორგვარი აზრი აქვს, ერთი—ესაა პატივისცემა, მეორე—გამოჩენილ ადამიანის სურათი, მისი გახსენება, მისი შეხედვა ჩვენ გვამხნევებს, მაღლა გვწევს, საზოგადოებრიობას აღვიძებს და აცხოველებს ჩვენში. თუ ამ შეხედულებას დავადგებით, მაშინ, ცხადია, უნდა ვეცადოთ, რომ ყოველ კუთხის გამოჩენილ ადგილს რაოდენიმე ძეგლი იყოს. ეგნატე ნინოშვილის ნაწერებს, რასაკვირველია, საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ის გამოიზარდა გურიაში, ნაწარმოებთა გმირები გურიის ცხოვრებიდან არიან ამოღებულნი. თვითონ ისიც გურიაშია დასაფლავებული და იქვე უნდა დარჩეს. რასაკვირველია, სასურველია, რომ ძეგლი ცოტა თვალსაჩინო ადგილს იყოს დადგმული. ასეთი ადგილია გურიაში ოზურგეთი, სადაც უნდა დაიდგას ძეგლი.

* * *

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენმა მემამულეებმა გაუსვეს ხელი და რაც რომ მამული შერჩენიათ, ყიდიან და ყიდიან. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ

119

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულებს უმეტესად უცხოელები იძენენ. ამ გარემოებამ რუსული გაზეთის ყურადღებაც მიიპყრო და აი „გოლოს კავკაზა“ დაასკვნის: მაშ მართალი ყოფილა ის აზრი, რომ კავკასიაში (უნდა ვიგულისხმოთ საქართველო, რადგან მამულის ფანტვა მხოლოდ ქართველების სენია) საკმაო მამულები ყოფილა უცხო ხალხის დასასახლებლად. ჩვენ კარგად ვიცით, რომ როცა რუსის გაზეთი მუდამ ქადაგებს—გადმოვასახლოთ ხალხი რუსეთიდანო, მას მარტო პოლიტიკური მოსაზრება ალაპარაკებს, მისი მისწრაფებაა ჩვენი გათქვება, დაქუცმაცება და მოსპობა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ მიზანს ჩვენში ემსახურებიან ისინი, ვისაც ჩვენი მდგომარეობა უნდა ესმოდეს, ვინც უნდა იცოდეს, რომ ჩვენს ხალხს გასაქანი არ აქვს, რომ მამულის სივიწროვე ზოგ ადგილს იქამდ-ს მივიდა, რომ ხალხი იძულებულია აიბარგოს და უბინაოდ ეხეტიალოს ცის ქვეშ.

* *
*

რომ ჩვენში დღეს საოცარი სისწრაფით იცვლება მამულის მფლობელობის სარკე, რომ ამ ცვლილებას პირდაპირ ეტყობა მისწრაფება სხვა ხალხების მიერ ჩვენი მიწა-წყლის დაჭერისა, ეს ყველასთვის იმდენად ცხადია, რომ ამაზე ლაპარაკიც მეტია. მაგრამ საუბედუროდ ზოგ ადგილას თურმე ჯერ კიდევ დარჩენილან ისეთი გლეხები, რომელთაც სწამთ დღეს თუ არა ხვალ მაინც მამულები ჩვენ დაგვრჩებაო. ჩვენ კარგად ვიცით გლეხის უნუგეშო მდგომარეობა, ისიც ვიცით სიღატაკე და თანამედროვე წყობილების უსამართლობა კაცს რას აფიქრებინებს, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ახლო მომავალში მამულების უფასოდ, უსასყიდლოდ ხელში ჩაგდება პირდაპირ უაზრო, მავნე ოცნებაა. და თუ სადმე სოფლის მუშას რაიმე საშუალება შესწევს ერთი ნაჭერი მიწა შეიძინოს, ვინც ამ შემთხვევაში ხელის შეწყობის მაგიერ, ხელს შეუშლის, ის პირდაპირ ხალხის მტერია. პირიქით ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ რამდენი დრო გადის, იმდენი მიწის ფასი იწევს, რადგან მსურველთა რიცხვი იზრდება, გარდა ამისა ჩვენში ეკონომიურ მოსაზრებას ზედ ერთვის პოლიტიკურიც და მიწის საკითხი ბევრ შემთხვევაში პოლიტიკურ საკითხათ იქცევა; ერთს ეპატიჟებიან მობრძანდი, საქმეს მოგიწყობთ, ფულს გასესხებთ შეღავათით, ისეც დაგეხმარებითო, მეორეს კინწის კვრით ისტუმრებენ, და ეს მეორე სწორედ ჩვენ ვართ. ამიტომაც გვმართებს მეტი სიფხიზლე და შეგნებით მოქცევა. და სადმე კიდევ თუ დარჩენილა მეოცნებე სოფელი, რომელსაც ჰგონია, რომ მამული უფასოდ ხელში ჩაუვარდება, ჩვენი მოვალეობაა გავაფრთხილოთ, გამოირეკოს თავიდან ეს ოცნება; თორემ დღეს ხომ სხვის მამულზე ცხოვრობს, ადვილად შეიძლება, ხვალ სულ არეკონ ამ მამულიდან, როგორც ამას ჩადიან ახალშენის გერმანელები და სხვა დასასახლებლად მისული ხალხი.

თუ ჩვენ საზოგადოდ დავღარიბდით კულტურული ძალებით, ერთ დარგში კი მეტად გავმდიდრით. ესაა დიპლომატიური სარბიელი. თქვენ გაიკვირვებთ, მაგრამ თუ არ გჯერათ, დაეკითხეთ ჩვენ რუსულ გაზეთების რედაქტორ-თანამშრომლებს. როცა გაიკვირვებთ, რომ ქართულ ენაზე ორი გაზეთი ძლივს ხეირობს, როცა ჩვენს პრესას მუშაკნი მეტად მცირედი ყავს, ხოლო რუსულად ტფილისში აგერ სამი ფაზეთი გამოდის, სადაც სულ ქართველები მუშაობენ, აგრეთვე იბეჭდება რუსული გაზეთები ბათომსა და ფოთში, სადაც ქართულ გაზეთის ხსენება არ არის, როცა ამ ვითომდა ჩვენი ცხოვრების გულშემატკივარ ვაჟბატონებს შეეკითხებით, რა გაწუხებთ, რატომ სამშობლო პრესას არ ეხმარებით, თუ წერის ჟინი გაქვთო—ისინი ზიზღით გიპასუხებენ, ჩვენ ქართულ საქმეს ვიცავთ, ჩვენ ვქმნით საზოგადო აზრს და ვემსახურებით ჩვენი სამშობლოს ინტერესების დაცვასო. თუ რა დაცვაა ჩვენი ან ვისმე ინტერესებისა ამ რუსულ გაზეთებში, თქვენც კარგად იცით; რომ მათი არსებობა როგორც ზნეობრივად, ისე მატერიალურად ჩვენთვის მავნეა, ესეც ცხადია. მავნეა იმით, რომ საზოგადოების ერთს ნაწილს აშორებს ქართულ მწერლობას, აშორებს როგორც მკითხველს, ისე თანამშრომელს და ამით ასუსტებს ჩვენს ძალას. ხოლო რაც შეეხება მათ დიპლომატობას, ეს, დამერწმუნეთ, მათაც არ სჯერათ. სხვებზე არ ვიტყვი, ხოლო დღევანდელი გაზეთების ხელმძღვანელნი გაზეთში მომგებიან საქმეს ეძებენ, ეძებენ ისეთ საქმეს, რომელიც მათ ლუკმა პურს მისცემს. მეტი არაფერი. ეს დიპლომატი, მხოლოდ თვალთმაქცობაა. მხოლოდ ჩვენ ის გვაწუხებს, რომ ზოგიერთს ჩვენგანს ეს თვალთმაქცობა გულწრფელობათ მიაჩნია და ხელს უწყობს მათ, სუბსიდიასაც კი უნიშნავენ ზოგიერთი საზოგადოებრივი დაწესებულებანი. ვფიქრობთ, რომ თუ ვინმე მართლა ჩვენი საქმის გულშემატკივარი მოიპოება იმ რედაქციების გარეშემო, დროა გონს მოვიდენ და თუ რამე ღონე შესწევსთ, ისევ სამშობლო ლიტერატურას უშველონ.

*
* *

ბოლო დროის საზოგადოებრივმა ქარტეხილმა, რომელმაც მთელ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ

ერებში კულტურულ ცხოვრების მაჯის ცემა ააჩ-ქარა, ჩვენში თითქო წინააღმდეგი გავლენა იქო-ნია. უკანასკნელ დროს ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვა თითქმის შესწყდა. ეს მეტად სამწუხარო და ღრმად ჩამაფიქრებელი მოვლენაა. მით უმეტეს გაგვეხარდა, როცა დავინახეთ ორი დიდი ტომი თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილ და ამხანა-გოაის მიერ გამოცემული „ხალხურ ზღაპრებისა." ხალხური სიტყვიერება დაუშრეტელი წყაროა ყო-ველივე შემოქმედებისათვის. ის მეცნიერული გან-ძიცაა, სადაც მსწავლულნი შეისწავლიან ხალხის ყოფა-ცხოვრებას, შეხედულებათა, ზნეობრივ მიდ-რეკილებათა და სხვა. მადლობა შემკრებს და გამო-მცემელთ.

მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან

მოამზადების ხანა.

II.

მიქელ მოდრეკილი. მიქელ მოდრეკილი ცნო-ბილია როგორც ერთი შემდგენელთაგანი „შატბერის" კრებულისა. იმასვე ეკუთვნის უეჭველად დიდი ხელნაწე-რი „საგალობელი". ამ კრებულში ქებათა-გალობანი და-წყობილ არიან რიგ-რიგად, თვიურად. ეს ძვირფასი და შესანიშნავი ხელნაწერი, რომელიც ინახება თფილისის საეკლესიო მუზეუმში, პირველად აღწერა მღ. კარბელა-შვილმა,—მერე — დ. ბაქრაძემ. [1]) გულ-მოდგინედ, ვრცლად და ფასდასადებ ისტორიულ ახსნა-განმარტებით (კომენტარიით), გაარჩია კი მ. ჯანაშვილმა თავის წიგნაში „сокровище X вѣка" (1891 г.).

მართლაც, ეს ხელნაწერი საუნჯეო, განძად უნდა ჩაითვალოს არამც თუ ქართულ სასულიერო ლიტერატუ-რაში, არამედ მთელს მსოფლიო მეცნიერებაშიაც კი. როგორც იწერება მკვლევარი თ. ჟორდანია, ამისთანა ლირს შესანიშნავი და უძველესი კრებული საგალობლე-ბისა თითქმის, შეიძლება სრულებითაც კი, არ მოიპო-ვა ევროპის მუზეუმებშიაც.[2])

მეცნიერული გამოკვლევა ამ კრებულისა ნათელს მოჰფენს ბნელს ხანას და ისტორიას ძველებური სასუ-ლიერო ქების-გალობებისას; ასეთი გამოკვლევის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია თამამად პასუხი მივცეთ შემდეგ კითხ-ვას: როგორ განსხვავდებოდენ ერთმანეთისგან კონსტან-ტინეპოლელი, იერუსალიმელი, ქართული და სხვა აღმო-სავლეთის მართლ-მადიდებელი ეკლესიები საეკლესიო დვთის მსახურების წეს-რიგში და აღსრულებაში.

[1]) (იხ. „საქართვ. ისტორია". გვ. 246.

[2]) „იხ. თ. ჟორდანია: ქრონიკები", ნ. 1 გვ. 111.

ძველერ უცხო და საეურადღებო ის ნიშნები (ნო-ტები), რომლითაც არიან დაწერილნი „საგალობელში" მოთავსებული ქების-გალობანი, შესანიშნავი არიან შინაარ-სითაც: ისტორიკოსები ბევრს რამ საეურადღებოს და უცხოს იპოვნიან მათში; მაგალითად მიქელის „საგალ-ობელში" მოთავსებული ქებათა-გალობანი არ არიან შე-ტანილნი აღმოსავლეთის ეკლესიის მე XI-XII საუკუნეე-ბის ამ გვარსავე კრებულებში. წესი და რიგი მიქელის ქებათა-გალობების დაწყობილობისა შესაძლებელად განიერჩე-ვა აღმოსავლეთის ეკლესიისაგან მიღებულ წეს-რიგისა-გან. ზოგიერთი წმინდანების სახელები, რომლებიც ია-სენიებიან „საგალობელში", სრულიად არ არიან მოხსე-ნებული მსოფლიო ეკლესიის სვინაქსრებში (მოკლე ცხოვრება წმინდანთა).

„საგალობელში" არის ერთი შენიშვნა თვით მი-ქელისა იმის შესახებ, რომ მან ეს ქებათა-გალობანი შეკრიბა სხვა და სხვაგან და რომ მან შეძლებისამებრ შეაგროვა საუკეთესო ქებათა-გალობანი, რაც კი მოიპოვ-ებოდა ქართულს ენაზე (გადმოთარგმნილი ბერძნულიდ-ან და მეხურიდან ე. ი. სომხურიდან). მართლაც სხვა და სხვა მინაწერები კრებულისა ამართლებენ მი-ქელის სიტყვებს, რომ „საგალობელი" შედგენილია ბე-რძნულ, მეხურ და ქართულ ქებათა-გალობებისაგან... ზოგიერთნი ქებათა-გალობანი დასახელებულებანი არიან „ბერძნული" ანუ „ბერძნულ მწერლებისა" [3]) (კოზმა იერუსალიმელისა, მაქსიმესი, ანასტასისა); უმრავლესობა კი დასახელებულია: „ქართული გადმოდება", „კიდურ წერილობა (აგიოსტიხი) ქართული", ან და აწერია ქარ-თველ ავტორების სახელები (აზრა, იოანნე და დავითი მტბევარი, სტეფანე ჭყონდიდელი და სხვა). მხოლოდ ქებათა-გალობის უმცირესს რიცხვს კი აწერია: „მეხური", ე. ი. სომეხური.

ამ მოკლე მიმოხილვიდგანაც მტკიცდება ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ეკლესიებში მე-XII საუკუნემდი არ არსებობდა ერთგვარობა წირვა-ლოცვის წეს-რიგში. მარ-თლაც, როგორც სჩანს ზოგიერთ ქართულ ისტო-რიულ წყაროებიდან, იერუსალიმის, ანტიოქიის და საბერძნეთის ეკლესიებში არსებობდა შესაძლებელი განს-ხვავება ზოგიერთ წმინდანების პატივსაცემად დანიშ-ნულ დღესასწაულების უქმობაში და მათი წეს-რიგის შესრულებაში. რაც შეეხება ქებათა-გალობებს, ისინი ერთსა და იმავე საპატრიარქოშიაც განსხვავდებოდნენ: მდიდარ საეკლესიებში სრულდებოდა დვთის მსახურება დი-დებულად; აქ საგალობლებიც გამოშჩენებითი იყო; და-რიბებში-კი—წინაუკმო. მე-XI საუკუნეში ამგვარსავე მოვლენას ვამჩნევთ, არამც თუ იერუსალიმის და ანტიო-ქიის საპატრიარქოებში, კონსტანტინეპოლშიაც, რომე-ლიც უველაზე უფრო მდიდარი და განათლებული იყო.

[3]) იხ. „საგალობელი" 249.

ამას მოწმობს წმ. გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც მე-XI საუკ. გადმოიღო ქართულ ენაზე მთელი წლის ქებათა-გალობანი. ამ ხელთ-ნაწერში (XI ს.), რომელიც ინახება თბილისის მუზეუმში [4]) მოიხოება მინაწერი წმ. გიორგისა, რომელიც ამოწმებს ამ ფაქტს: „ადოცეთ მონა დვთის გიორგისათვის", სწერია აქ, „ბევრი შრომა და მწუხარება გამოიარა მან ამ ქებათა-გალობის შედგენის დროს, რომელიც მანამდის არ არ ეკებობდა არც ჩვენს სმენას, თითქმის არც ბერძნებისას, რადგანაც იმათშიაც (ბერძნებში) არ მოიხოება ეს სვინაქსარი, გარნა მხოლოდ ანა-სოფიოში და სტუდის მონასტერში [5]) ცხადია, რომ წმ. გიორგისგან გადმოთარგმნილი კრებული არამც თუ არ ეოფილა გავრცელებული საქართველოში, საბერძნეთშიაც კი მოინახებოდა მხოლოდ მესანიშნავ სოფიის საეკლესიოში და სტუდის მონასტერში.

ზემოდ თქმულიდანაც ცხადია, თუ რა ძვირფასი საუნჯეს წარმოადგენს „საგალობელი" მიქელ მოდრეკილისა. ის ცხადად მოწმობს, თუ რა განსხვავება არსებობდა მე-XII საუკ. აღმოსავლეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვის წეს-რიგის შესახებ. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ ამ „საგალობელში" დაცულ-შენახული ია ისეთი ქებათა-გალობანი, რომელნიც გავრცელებულ იყვნენ აღმოსავლეთის ეკლესიებში (იერუსალიმის და ანტიოქიის), დღეს კი დაკარგულნი არიან მეცნიერებისათვის. მასში დაცულია აგრეთვე ბევრი ქებათა-გალობანი ქართულ და სომხურ აკტორებისა, რომელნიც მე-XII საუკუნიდან, მოშეტებულად ურბნის-რუისის კრების შემდეგ (დავით აღმაშენებელის დროს), ხმარებაში არ იყვნენ და შემდეგ მთლად დაიკარგნენ. როგორც ვიცით, ურბნისის კრებაზედ უარეოფილ იქმნა ძველი წეს-რიგი წირვა-ლოცვისა და შემოღებული—ათონის მაძებისაგან ახლად თარგმნილი წიგნები. [6])

მიქელის „საგალობელი" დაწერილია 963—974 წლებში, დავით კურაპალატის, მეფე გურგენის და ბაგრატ III მეფობის დროს, იმ დროში შესანიშნავ შატბერის დავრაში. მიქელის ცხოვრების შესახებ ჩვენ ძალიერ ცოტა ცნობები გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო ძმა მთარგმნელი დავით მტბევარისა (X საუკ.) და დვეძალი ბიძა იოანნე მტბევარისა, რომელიც ცნობილია ისტორიაში „ბერაის" სახელით.

იოანნე მტბევარი. იოანნე ითვლება „შატბერის" კრებულის შემდგენელად. ის იყო ძმისწული მიქელ-მოდრეკილის. იოანნე—მესამე „მტბევარია": პირველი იყო სტეფანე (918 წ.), ბოლოს დროს ჭეონდიდელი, დამწერი გობრონის ცხოვრებისა; მეორე—დავით, ბიძა მიქელ მოდრეკილისა; მესამე—იოანნე... ეს უკანასკნელი დასტულია მიქელის „საგალობელში" და, როგორც სჩანს სხვა-და-სხვა მინაწერებისაგან, ეოფილა ავტორი ბევრ ქართულ ქებათა-გალობისა, რომლებიც კრებულში არიან მოთავსებულნი. მართლაც, კრებულში ხშირად ვხვდებით შემდეგ შენიშვნებს: „იხ კო (მწუხრად საგალობელი მუხლი) იოანესი, მტბევარის ეპისკოპოზისა, ქრისტე, მეფეთა, შეიწყალე სული მისი" [7]).

რაც შეეხება მიქელს, ესტატე სინაელს და იოანნე შავმთელს, რომლებიც ჩვენ მოვიხსენიეთ მე-IX—X საუკ. მთარგმნელების რიცხვში, მათ შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება; ვიცით მხოლოდ, რომ ისინი იყვნენ ნაეოფიერნი მთარგმნელნი [8]).

ამ ხანაში ქართველებს ჰეოდიათ პალესტინაში დაწყალ-შემოსილნი და მთარგმნელნი ქალებიც. ქართველი ქალები-მონაზონები გულმოდგინედ და მხნედ ემსახურებოდნენ ლიტერატურას და განათლებას. პრ. მარრის სიტყვით, დიონა-შესანიშნავია წერილი იერუსალიმელ ქართულ იმ ხელნაწერისა, რომელშიაც სხვათა შორის, შენახულია დაკარგული ისტორიული ძეგლი—დატყვევება სპარსელებისაგან იერუსალიმისა 614 წ.. წმ. სიმეონის ცხოვრების ტექსტის შემდეგ მოთავსებულია წერილი ეკატერინესი, შტროის ქალიშვილისა. ამ წერილიდან სჩანს, რომ ამ ეკატერინემ „დასწერა" (თარგმნა) ზემოხსენებული ცხოვრება. ხელნაწერი გადაწერილია ვინმე ბასილისაგან, რომლის მინაწერებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ 1) ის ეოფილა აღზრდილი „პატიოსან დებისაგან", მონაზონებისაგან, და 2) რომ თვით ქართული ხელნაწერი გადაწერილა ამავე „დების" ხარჯით. [9]).

იპ. გართაგავა.

საინგილოს შეერთება რუსეთთან.

შავბნელი ღრო იყო საქართველოში რუსეთის დამკვიდრების პირველი ხანა. ის შავი ღრუბლები, რომელთაც იძულებული გაჰხადეს საქართველო ჩრდილოეთისკენ გაეწვდია ხელი, ეხლა უფრო აირივნენ და მძლავრად დაუქროლეს საქართველოს.

[4]) თ. ყორდანია. „ქრონიკ." ნ. I, გვ. 120.

[5]) გვ. 312.

[6]) დ. ბაქრაძე. საქ. ისტ", გვ. 246—247; თ. ყორდანია „ქრონიკ." ნ. I, გვ. 113....

[7]) „საგალობელი" გვ. 56, 78, 137, 241, 523, და სხვ.

[8]) ა, ცაგარელი. Сношенія Грузіи съ св. Землею и Синаемъ". пал. сбор. 1888 г., т. IV. **იოანნეზე**—გვ. 134, 199, 203, 206, 210, 213, 217, 222, 240; **მიქელზე**—გვ. 197, 199, 204, 227; **ესტატეზე**—გვ. 38, 130.)

[9]) პრ. მარრი „Цер. Вѣд.", 1907, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მხედრობის გამოსვლამ კავკასიის ქედზედ ყალყზედ დააყენა ისინი და შიშის ჟრუანტელმა დაუარა. ვაი თუ დღეს თუ ხვალ ჩვენც საქართველოს ბედი გვეწიოსო და ერთბაშად აირივნენ ყველანი. დაღესტანი საინგილოს ლეკებიანათ, რომელთა ხელშიც იყო მაშინ საინგილოს ქართველების ბედ-ილბალი, განჯა, შუშა, შექ-შირვანი და სხვა სახანოები ბრაზით ცეცხლსა ჰყრიდნენ და ყოველ ღონეს ღონობდნენ, რომ რუსებისათვის კუდი ამოეძუებინათ საქართველოდან. ამ აგიზგიზებულ ცეცხლს ხელს უწყობდნენ საქართველოს ბატონიშვილნი, რომელნიც ისედაც აწეწილ-დაწეწილ საქართველოს რევდნენ და ილაჯგაწყვეტილ მცხოვრებთ აღარ იცოდნენ ვისი დაეჯერებინათ და ვისთვის ეყმოთ. სწორედ ამ დროს გავარდა საქართველოს ბატონიშვილი ალექსანდრე—ეს უკანასკნელი მაგიკანი საქართველოს პოლიტიკური თვითარსებობისა და დაუძინებელი მტერი რუსეთისა, რომელთანაც ვერც მუქარამ, ვერც დაყვავებამ ვერ გასჭრა და ისე ჩავიდა სამარეში ეს დიადი მოტრფიალე სამშობლოში, რომ მისი ღრუბელი აღარც კი დაუნახავს [1]). გავარდა თუ არა ეს ვაჟკაცობითა და მოხერხებით განთქმული გმირი, რომელსაც დიდი გავლენა და პატივი ჰქონდა საქართველოს ყველა მეზობელ ერებში, მღელვარებამ ერთი-ორად იმატა მეზობელ სახანოებში. დაღესტნის ბატონმა ომარ-ხანმა ალექსანდრეს გავარდნით გული მოიცა და საინგილოს ლეკებიანათ, რომელნიც დაუძინებელი მტერნი იყვნენ საქართველოსი, დაიძრა საქართველოსაკენ. მაგრამ არც საქართველოში ახლად დამკვიდრებულ რუსებს ეძინათ, გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და გენერალს ლაზარევს, რომელიც მაშინ საქართველოში მინისტრის კავალენსკის წასვლის შემდეგ მთავარი გამგე იყო, ჯეროკანს დახმარებას უწევდა. ლაზარევმა და ბატონიშვილმა იოანემ ხელდახელ შეჰყარეს ჯარები ქართველებისა და რუსებისაგან შემდგარი და სასტიკად დაამარცხეს ლეკები იორზედ, რომელშიაც ლაზარევის მოხსენების თანახმად 2,000 კაცი მოჰკვდა ლეკების მხრივ და გარდა ამისა დაიჭრა თვით ომარ-ხანი.

ეს პირველი დამარცხება იყო ლეკებისა, მაგრამ ამ დამარცხებით ლეკები ფარ-ხმალს არ დაჰყრიდნენ და საქართველოს აწიოკებას თავს არ დაანებებდნენ. მთელს კავკასიაში ჭარ-ბელაქნის [2]) ანუ დღევანდელის საინგილოს ლეკებზედ გულაღებული, განებივრებული და თავგასული არავინ იყო. იმათ არავისი შიში და რიდი ჰქონდათ, მთელი კავკასია ფეხ ქვეშ ჰქონდათ გათელილი, დაწყებული ბელაქნიდამ ახალციხ-ახალქალაქამდის და შირვან-ბაქომდის; მათის შიშითა ფრთხოდნენ შექისა (ნუხისა), ელისისა, განჯისა და სხვა სახანოები. ამიტომ ლეკებს ეს პირველი დამარცხება აინუნშიაც არ მოსდიოდათ და ჭარ-ბელაქანს—ამ სამხედრო ბანაკს, რომელიც მუდმივ მზად იყო მტრის დასაცემად, ისევ მაღლა ეჭირა ძლიერების დროშა. რუსეთიც კარგადა გრძნობდა მათს ძლიერებას და ჯერ კიდევ ხეირიანად ფეხი არ შემოედგა საქართველოში რუსეთის მხედრობას, რომ გენერალი კნორინგი თითქმის თხოვნით მიჰმართავს მათ ზავი ჩამოვაგდოთ ერთმანეთში და ურთი ერთის მტრობასა და შუღლს თავი დავანებოთო. გალაღებული ლეკები არაფრათ აგდებდნენ კნორინგის წინადადებას და ასეთს ორჭოფა პასუხს აძლევდენ: „მშვიდობიანობის ჩამოგდება ორ მოსაზღვრე ერთა შორის დიახ რომ სასურველია და საჭირო. ჩვენ წინადაც ჩამოგვიგდია ასეთი ზავი ირაკლი ხანთან (ერეკლე მეფესთან), თქვენთან მით უმეტეს უფრო სასურველია ასეთი ზავი, მაგრამ გვეშინიან იქნებ პირობა ვერ შევასრულოთ და მაშინ ხომ პირშავნი გამოვალთ თქვენს წინაშე. თქვენ მზგავსი არა ხართ ირაკლისა და სხვა ხანებისა, თქვენ წარმომადგენელი ხართ დიდის ფადიშახისა. ჩვენ არ გვეკადრების თქვენთან პირის გატეხა. ზავს ჩამოაგდებენ ხოლმე ჩვეულებრივ ერთმანეთში თანატოლნი, ფადიშახის თანატოლი კიდევ ფადიშახია. აი ჩვენი პასუსი“ [3]). ამ გვარს პასუხსა სწერენ ბელაქნელნი და ჭარელნი.

ზევით რომ მოვიხსენიეთ, არამც თუ ეს წინადადება, იორზედ სასტიკი დამარცხება ომარხანისა და ალექსანდრესი აინუნშიაც არ მოსდიოდათ ლეკებს და ამიტომ კვალად განაგრძობდნენ თავიანთს თარეშს. 1804 წელს ლეკებმა ააოხრეს თბილისის ცხვირ წინ მტკვრის მარცხენა მხარეზედ მდებარე ქართველთა მრავალი სოფლები და ტყვედ წაიყვანეს ასზედ მეტი ქალი და კაცი და 300 სუ-

[1]) ბ. ალექსანდრე მარხია სპარსეთის ქალ. თავრიზში, საქართველოს რუსეთთან შეერთებას ვერ შეურიგდა ეს სახელოვანი გმირი და სრულიად მოშორდა საქართველოს. (იხ. кавказская война, პოტტოსა).

[2]) ჭარ-ბელაქანი ძველად ქართველთა სოფლები იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც შახაბაზმა ქართველობა ყიზილბაშში გადაასახლა, ლეკები დაეპატრონნენ ამ სოფლებს, მათში აირივნენ მცირედ დარჩენილნი ქართველები და სრულიად გალეკდნენ.

[3]) იხ. Акты кавказской археографической коммиссіи т. I.

ლი სხვილფეხი საქონელი. ამავე წელს ყაზახთა ცხენების ჯოგს დაეცნენ და გაირეკეს, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ სოფელ ველისციხესთან მუშკატერის პოლკის ჯარის კაცებს რაც ცხენები ჰყავდათ სულ ერთიან მოსტაცეს [4]).

მაგრამ ლეკები უფრო ცუდს დღეს აყრიდნენ საქართველოს ახალციხის მხრიდგან. აქ ახალციხის ფაშას ჰყავდა მათგან შემდგარი დაქირავებული ჯარი და აი სწორედ აქედგან ესხმოდნენ ხოლმე საქართველოს. ახალციხის ფაშას მაშინდელი საქართველოს გამგე ლაზარევი სთხოვდა აეკრძალა ლეკებისათვის საქართველოს აკლება-აწიოკება, ფაშა სიტყვით ყველაფერსა ჰპირდებოდა, მაგრამ საქმით სულ სხვა გამოდიოდა და ლეკები თავისას არ იშლიდნენ. რუსების მუქარა მათზედ არა სჭრიდა, ორ პირი და გაუტანელი ლეკები მელასავით იქცეოდნენ, თან მფარველობასა და ქვეშევრდომათ მიღებასა სთხოვდნენ რუსეთს და თან აკლება-აწიოკებას არ იშლიდნენ. ამავ წელს, როცა ლაზარევი კახეთის საზღვრებს უვლიდა, ჭარ-ბელაქნელებმა დეპუტაცია გაუგზავნეს და სთხოვეს ქვეშევრდომად მიღება. მაგრამ, გენ. ლაზარევმა ამ გვარს მათს თხოვნას ეჭვით შეხედა და შემდეგი პირობა დაუდო: „ნიშნად ერთგულებისა ვითხოვ მძევლებად მურთუზ ალი აბდულის გვარისაგან მის სიძეს მაგამეთის და გუდჯარს ანანიანთა გვარისაგან, რომელთაც შევინახავთ, როგორც მათ შეჰფერის და რომელნიც პასუხის მგებელნი იქნებიან თუ თქვენი სოფლები შემოესევიან საქართველოს, ან კიდევ გზას მისცემენ ყაჩაღთა ბრბოებს საქართველოს ასაკლებად წამოსულებს“ [5]). ლაზარევმა მოსულებს თან გაატანა კნ. ადამ ბებუროვი, რათა თვალყური ედევნებინა, რა ნაირ შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზედ ლაზარევის წერილი.

ლაზარევის წერილმა ყალყზედ დააყენა გალაღებული ლეკები, იმათ არც აცივათ, არც აცხელათ, ბრაზ-მოსულთ ლუკმა-ლუკმა აქციეს ლაზარევის წერილი, მერე მისცივდნენ დეპუტატებად წასულებს, გადაუბუგეს სახლ-კარი, ერთი მათგანი ალია სიცოცხლესაც გამოასალმეს და ლაზარევს ცივი უარი სტკიცეს. [6])

მოტყუებულმა ლაზარევმა აღარ იცოდა რა ექნა, როგორ მოეგრიხნა კისერი აღვირ წახსნილ ჭარ-ბელაქნელებისათვის, იმან განიძრახა ფიცხლავ დასცემოდა მათ და მიწასთან გაესწორებინა მათი ბუდე ჭარ-ბელაქანი, მაგრამ გენ. კნორინგმა ნება არ მისცა და შემოუთვალა, საჭირო არ არის მაგათზედ ამხედრება და ქვეშევრდომებათ მიწვევა, რადგანაც ეგენი უპირულნი ხალხნი არიან და ბევრიც რომ დაგთანხმდნენ შენს პირობებზედ ხვალვე უარს იტყვიან და ჩვეულებრივ შემოესევიან საქართველოს. სამაგიეროთ თვით კნორინგმა მისწერა წერილი საინგილოს ლეკებს: „მას შემდეგ რაც გამოცხადდა თბილისში და სხვა ქალაქებში უმაღლესი მანიფესტი საქართველოს რუსეთის ძლიერ სახელმწიფოსთან შეერთებისა, ჩემს მოვალეობად დავისახე დავამყარო სიწყნარე და მშვიდობიანობა ამ ახლად შემოერთებულს ქვეყნებში და მის საზღვარზედ, რადგანაც საინგილოს სოფლები საქართველოს საზღვრავენ და აქამდის მრავალ თავზედ ხელაღებულნი და თავქარიანნი თავისას არ იშლიან და საზღვრებზედ აწიოკებენ მრავალ ქართველთ, ან კიდევ დაღესტნიდამ ჩამოსულ ურდოებს გზას აძლევენ საქართველოს ასაწიოკებლად, ამიტომ მივცემთ რა დავიწყებას ყველა ამ ავკაცობას, გიწვევთ საზღვრების უზრუნველსაყოფლად და წინადადებას გაძლევთ მოსალაპარაკებლად და პირობების შესამუშავებლად გამომიგზავნოთ პატივცემულნი და ხალხის სიყვარულით აღჭურვილნი რჩეულნი პირნი და მამასახლისნი, რომელნიც ამ წერილის მიღებისათანავე შვიდის დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდენ ქ. თბილისში. მათი აქ ყოფნა და მშვიდობით დაბრუნება უზრუნველყოფილი იქნება და შევიმუშავებთ თუ არა ზოგიერთს პირობებს ზავისას, მაშინვე პატივცემით გამოვისტუმრებთ უკანვე“. [7])

მაგრამ საინგილოს ლეკებმა არამც თუ რჩეული კაცები არ გამოუგზავნეს, პირიქით წინააღმდეგ მოქმედება დაიწყეს, ცხადათ ეშველებოდენ ალექსანდრე ბატონიშვილს და ცარცვა-გლეჯა დაუწყეს ქართლ-კახეთს. კნორინგის ამ წერილის შემდეგ კალიასავით მოედვნენ მთელს საქართველოს და მოსვენებას აღარავის აძლევდნენ. რუსის ჯარი მათ დევნას ვერ ასდიოდა. ჭარ-ბელაქნის ლეკებმა იმდენად აიღეს თავი, რომ მცირე რაზმებითაც კი თავს ესხმებოდნენ რუსეთის ძალებს, სცარცვავდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ, თბილისის ცხვრ წინ ნავთლულში დაეცნენ რუსის ჯარს გასცარცვეს და ცხენებიც თან გაიყოლეს. გარდა ამისა დაეცნენ თვით თბილისს შუაღამისას, მხოვრებნი ააწიოკეს და კინაღამ თბილისის ხიდს ცე-

[4]) იხ. Дубровинъ. Закавказье 1803—1806 г.

[5]) იხ. Письмо Лазарева къ Белоканскимъ старшинамъ 1-го ноября 1901 г. ст. 653 აქტებში.

[6]) Дубровинъ, Георгій XII.

[7]) Письмо Кнoринга къ старшинамъ и всему народу Джарскикъ общества отъ 18 Апр 1802 г, აქტებში.

ცხლი წაუკიდეს. [8]) მათს თავხედობას ხელს უწყობდა ახალციხის გამგე შერიფ-ფაშა, რომელმაც მოწოდებათ მიჰმართა დაღესტნელებს და განსაკუთრებით ჭარ-ბელაქნელებს, რათა შეერთებულიყვნენ და საერთო ძალით განედევნათ საქართველოდგან რუსები. მოწოდება იყო ვითომ თვით სულთანისაგან გამოგზავნილი, რომელსაც ყალბი ბეჭედი აჯდა სულთანისა. ამ მოწოდებამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა, ლეკები ყველგან აირივნენ და საჭირო იყო ერთ ვინმე გავლენიან მეთაურს დაეწრუწუნებინა, რომ საერთო ძალით იერიში მიეტანათ რუსეთზედ. ჭარ-ბელაქნელებმა დაიწყეს ჯარების შეგროვება, რომლის რიცხვიც შვიდ ათასამდის უნდა ასულიყო და განჯაში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს კაცები გაუგზავნეს და სთხოვდნენ მისულიყო და მეთაურობა და სარდლობა გაეწია ჯარისათვის. ალექსანდრე ბატონიშვილი რასაკვირელია ცას დაეწია ჭარ-ბელაქნელების თხოვნით და აპირებდა გავაზ-ყვარელის გზით დასცემოდა კახეთს მაშინდელმა საქართველოს სამხედრო საქმეთა გამგემ სომეხ ჯაშუშების შემწეობით [9]) კარგა ხანია იცოდა ლეკების მზადება, ამიტომ მაიორი საბასტანი ზარბაზნებით და ყაზახებით სიღნაღისაკენ გაისტუმრა, მაიორი ცეკუშა კარდანახში გაამაგრა, კრივონოსოვი ანაგაში და სხ.

ამ დროს საქართველოს მთავარ-მართებლად დანიშნული იყო შესანიშნავი, უშიშარი და მხნე სარდალი თავადი პავლე ციციშვილი. მან თავის პირველ მოვალეობად დაისახა ჭარ-ბელაქნელების აღვირ-წახსნილ თარეშობის სამუდამოდ აღმოფხვრა. აი რასა სწერდა ნუხის ხანს, რომელსაც უნდოდა მოერიგებინა ციციშვილი ჭარ-ბელაქნელებთან: „მოგეხსენებათ თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ჭარი და ბელაქანი, რომელნიც უძველეს დროიდგან საქართველოს საკუთრებას შეადგენდნენ, 80 წლის განმავლობაში გამუდმებით არბევდნენ და აწიოკებდნენ მცხოვრებთ, ამიტომ ჩემ უპირველეს მოვალეობად დავისახე ჭარი და ბელაქანი ან დავაწყნარო და რბევა-თარეშობაზედ ხელი ავაღებინო, ან არა და სრულიად ავგაკო დედამიწის ზურგიდამ.“

ეს შესანიშნავი სარდალი, რომელსაც უკან დახევა არ უყვარდა, რომლის სიტყვა და საქმე ერთი იყო, რომლის გაბედულებამ და მარჯვე მოქმედებამ საუკუნოდ მოაკიდებინა ფეხი რუსეთს ამიერ კავკასიაში, ბელაქნელებს მუქარას აუსრულებელს არ დაუტოვებდა. ამიტომ ციციშვილმა ყველაფერს მოლაპარაკებას თავი დაანება, ქართველთა და რუსთა შეერთებული ჯარი გაჰგზავნა ბელაქნისაკენ, გენერალ გოლიაკოვის ხელმძღვანელობით. ამ დროს ბელაქანში უკვე მოსულიყო ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელსაც მიემატა ქიზიყის მოურავი იოსებ ანდრონიკაშვილი და თან გადევნებული 40 თავად აზნაური, [10]) რომელთ შორისაც ერია ორი ძმა ბებურიშვილი. 25 თებერვალს კიდევ გავარდა თბილისიდგან ბატონიშვილი თეიმურაზ გიორგის ძე.

როგორც ვხედავთ ორივე მხარე მარჯვედ იყო. ალექსანდრე ბატონიშვილს იმედი ჰქონდა გამარჯვებისა და საშინელის აღტაცებით ამხნევებდა ყველას. მაგრამ რუსეთის გაწვრთნილ მხედრობასთან და მის ზარბაზნებთან რას გააწყობდა. ბრძოლა მოხდა მარტში 1801 წელს. ლეკები საშინლად დამარცხდნენ, გამხეცებულმა ჯარებმა ისე მოსწვეს და მოაოხრეს მთელი ბელაქანი, რომ ქვაქვაზედაც აღარ დარჩენილა. [11]) მცხოვრებნი კიდევ ვინც თავს ვერ უშველა სულ გასწყვიტეს. ასეთი შავი დღე დააყენეს ბელაქანს, რომ შემდეგში ციციშვილი არა ერთხელ და ორჯელ უმეორებდა ჯარს, ისე აღარსად ააოხროთ დამარცხებული მტერი, როგორც ეს ქართველების ჯარმა ჩაიდინა ბელაქანის აღების დროსაო. ბელაქნის ეს აოხრება სრულიად ქართველთა ჯარს დაბრალდა, ვითომ რუსის ჯარის კაცი კი დააკლებდა რასმეს თუ შესაძლო იყო. ბელაქნიდამ გამარჯვებული ჯარი სოფ. ჭარისაკენ გაემართა, გზაზედ თითქმის არავის გაუწევია წინააღმდეგობა. 27 მარტს უკვე კახეთი დაიჭირეს, 29 კი ჭარი. მაგრამ გენ. გულიაკოვი გაიტაცა გამარჯვებამ და ჭარის ხეობას შეჰყვა, აქ ტყეში ჩასაფრებულმა ლეკებმა უცებ წვიმასავით მიაყარეს რუსის ჯარს ტყვია-წამალი, რომლის მსხვერპლიც გახდა გენ. გულიაკოვი. ჯარი ცოტას ხანს შეკრთა, აირია, ვიწრო ხეობაში ფეხქვეშ მოჰყვათ გენ. ლეონტიევი და პორუჩიკი ვორონცოვი და კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს. [12])

მიუხედავად ამ მარცხისა, ჭარელებმა რუსეთის მხედრობას მამასახლისნი გამოუგზავნეს და მათის პირითა სთხოვეს, რომ ჭარ-ბელაქნელნი სა-

[8]) იხ. Рапортъ Лазарева къ Кнорингу отъ 19 Іюля 1802 г. აქტების პირველ ტომში.

[9]) საკვირველია, რომ ჯაშუშობის როლს თითქმის მუდამ სომხები ასრულებენ. ჰკითხულობ აქტებს და გიკვირს მათი ამ გვარი საქციელი.

[10]) იხ. Акты Кавказ. археол. ком I გვ. 303

[11]) იხ. „Кавказъ“ и Кавказская война, Романовскаго.

[12]) იხ. Сборникъ свѣдѣній о Кавказскихъ горцахъ. воен. IX, წერილი ფონ-პლატტოსი.

ზოგადოებანი მზად არიან ყოველივე პირობაზედ დასთანხმდნენ, რასაც კი რუსები წარუდგენდნენ. ჭარ-ბელაქნის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს, მოკლე ხანში უკვე ცხრა მამასახლისი წარსდგნენ გულიაკოვის მაგივრად დანიშნულს გენ. ორბელიანის წინაშე, რომელმაც ,სინი თბილისში გაგზავნა ციციშვილთან პირობის დასადებად.

პირობა, რომელიც ციციშვილმა დაუდო ჭარ-ბელაქნელებს და საინგილოს დაახლოვებით შემდეგი იყო: 1) ჩვენ და მთელი ხალხი ჭარ-ბელაქნის თავისუფალ საზოგადოებათა დღეის შემდეგ საუკუნოდ უერთდებით რუსეთის ძლიერს იმპერიას და ვხდებით ქვეშევრდომნი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა სრულიად რუსეთის ხელმწიფისა და 2) ამიერიდგან მოვალენი ვართ ყოველწლობით ვიხადოთ 1,111 ლიტრა აბრეშუმი, რომელიც ორ წყობად უნდა გადავიხადოთ აგვისტოსა და ნოემბერში, 3) რუსეთის მხედრობას შეუძლიან ისადგუროს სადაც და რომელ სოფელშიაც მოესურვება, 4) მოვალენი ვართ ჰივცეთ მძევლები შემდეგ სოფლიდან: ბელაქნიდან, კატეხიდგან, ჭარიდან, თალიდ ან, მუხახიდან და ჯინიხიდან; 5) მოვალენი ვართ რუსეთის წინააღმდეგ არ ვიმოქმედოთ, არც მივცეთ ჩვენს საზოგადოებაში ადგილი ალექსანდრე ბატონიშვილს და დაღესტნიდგან ჩამოსულს ლეკთა ურდოებს; 6) ალიაბათისა და სხვათა სოფლის ინგილოები, ისევ ჩვენგან დამოკიდებულნი და ჩვენი მეხარკენი უნდა იყვნენ, ჩვენ კიდევ მოვალენი ვიქნებით ხელი არ შეუშალოთ ქრისტიანულ სარწმუნოების ადიარებაში [13]) ყველა ამას უნდა დამორჩილებოდა ელისის ანუ კაკის სულთანიც, რომელიც დამოკიდებული იყო და მოკავშირე ჭარ-ბელაქნელებისა. თავის მხრივ ციციშვილი ნებას რთავდა! მათ საზოგადოებათა შინაურ მართვა-გამგეობაში არ გარეულიყო. ეს იყო უმთავრესი მუხლები იმ ხელშეკურლობისა, რომელიც რუსეთმა და ჭარ-ბელაქნელებმა დასდეს ერთმანეთში.

თავის უქვეშევრდომილესს მოხსენებაში ციციშვილი სწერდა: ჭარ-ბელაქანის შემოერთებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ერთის მხრით საქართველოს საზღვრები გავიმაგრეთ ლეკთა მთავარ ბუნაგში რუსთა მხედრობის დამკვიდრებით და მეორეს მხრივ მდიდარი მოხარკე ვიშოვნეთო, რომელთაც სრულიად არ გაუჭირდებათ გაწერილ ხარჯის ძლევაო.

ერთის სიტყვით ციციშვილს ეგონა ორი კურდღელი დავიჭირეო, მაგრამ ჩქარა არც ერთი და არც მეორე არ გამართლდა. საუკუნთებით ცარცვა-გლეჯას შეჩვეული ლეკების მორჯულება ადვილი არ იყო, არც ხარჯის ძლევის ასრულება იყო მათთვის საადვილო. ისინი პირიქით დაჩვეულნი იყვნენ სხვათაგან ეღოთ ხარჯი, არათუ თვით ეძლიათ ვისთვისმე. პირველ წელს იყოყმანეს, ნახევარი ხარჯი ძლივას გადიხადეს, მეორე წელიწადს არამც თუ ხარჯი არ გადიხადეს, პირიქით დაღესტნელებს გზას აძლევდნენ და მათთან ერთად იკლებდნენ საქართველოს. ამაოდ სწერდა ციციშვილი ხარჯები წარმოადგინეთო, ჭარბელაქნელნი ხან რას იმიზეზებდნენ ხან რას და ხარჯის გადახდაზედ ყურს არ იბერტყავდნენ. მოთმინებიდან გამოსული ციციშვილი აი როგორის მრისხანე წერილებით ამკობდა ჭარ-ბელაქნელებს: „უსვინდისო არამზადებო! გინდათ, რომ დავიჯერო თქვენი სიტყვა და გაპატიოთ? და ან როგორ ბედავთ მაგრე უსვინდისოთ წერას. ალბად, გგონიათ, რომ ქართველი ვარ და იმიტომ მწერავთ მანგრე. მე დავიბადე რუსეთში, იქ გავიზარდე და რუსის სული მიდგია. მოესწრობით ჩემს მოსვლას და მაშინ თქვენს სახლს-კარს კი არ გადავწვამ, არამედ თქვენ თითონ დაგწვამთ, თქვენს ცოლშვილს კიდევ გულ მკერდს გაულადრავ. თქვენ გგონიათ, რომ პურების შემოსვლამდის დამშვიდებით იქნებით, მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ვერ იგემებთ ჭარის პურს, ვიდრე არ შემოიტანთ თქვენზედ გაწერილს გადასახადს! ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა თქვენდამი, უპირულებო!“

ამ წერილის შემდეგ ჭარ-ბელაქნელებს შიში მოეცათ, გამოცდილები იყვნენ რომ ციციშვილის მუქარა ადვილი არ იყო, ამიტომ საჩქაროდ გაიღეს იქაურ მამასახლისების ხელით ნაწილი გადასახადისა და მოახსენეს, ელისის სულთანს თავისი წილი ჯერ არ შემოუტანია და როცა მოგვცემს მაშინ გაახლებთო. ელისის სულთანი კიდევ არამც თუ ხარჯს არ იხდიდა, პირიქით დაღესტნის მოჩხუბართ და ყაჩაღებს ბინას აძლევდა, რის გამოც ციციშვილი იძულებული იყო ამ გვარი წერილი მიეწერნა: „უსირცხვილო, ყიზილბაშური გულის სულთანო, შენ კიდევ ბედავ ჩემდა წერილის მოწერას? მოვიცლი შენთვისაც და გეწვევი სტუმრად იმიტომ, რომ ხარკს არ იძლევი მთელი ორი წელიწადია; ბინას აძლევ რუსეთის იმპერიის მტრებს—დაღესტნის ყაჩაღებს და სპარსეთის შაჰსაც ბაბახანს 300 მეომარი გაუგზავნე. შენ ძაღლის სული და ვირის ჭკუა გაქვს და შეგიძლიან განა შენის ცბიერებით და მიზეზ-მიზეზებით მომატყუო? შენ ეს იცოდე, რომ თუ შენი კაცი კიდევ უაბრეშუმოდ მოვიდა ჩემთან,

[13]) იხ. Акты кавказ. археог. ком. т. II გვ. 886.

ციმბირის გზა აქეთ დარჩება. ხოლო მე, ვიდრე ერთგული მოხარკე შეიქნებოდე ჩემის დიდის ხელმწიფეთა ხელმწიფის იმპერატორისა, წყურვილ ვიქნები, შენის სისხლით გავრეცხო ჩემი ფეხსაცმელი.“ [14]).

მრისხანე წერილებს ციციშვილისას ბევრი არაფერი გავლენა ჰქონდათ ჭარ-ბელაქნელებზედ, რადგანაც თუ ერთი ციციშვილი ემუქრებოდა, პირიქით ათი ხსვა ამხნევებდა და ეუბნებოდა ურჩობა გაუწიეთ და ნურაფერს ხარჯს ნუ გადუხდით რუსებსაო. სხვების წაქეზებით ჭარ-ბელაქანელებმა უფრო უმატეს საქართველოს დარბევას და იქამდისაც მივიდნენ რომ ყაზახებსაც კი დასტაცეს ცხენები და ხელცარიელზედ დასვეს. ერთი სიტყვით ჭარ-ბელაქანელნი არ ცხრებოდნენ და ბოლოს იქამდისაც კი გაკადნიერდნენ და თავს გავიდნენ, რომ ავარიის ხანი ახმედხანი მთელი ჯარით, რომელიც 3,000 მეომრისაგან შესდგებოდა, საზამთროდ დააბინავეს თავიანთს მიწა-წყალზე. მოთმინებიდამ გამოსულმა მაშინდელმა მთავარ მართებელმა გუდოვიჩმა უბრძანა გნ. ორბელიანს შესევოდა ჭარ-ბელაქანს. ორბელიანმა დიდის ჯარით გაილაშქრა ჭარისაკენ, სადაც ზაქათალის ციხეში გამაგრებულნი იყვნენ ჭარ-ბალაქნელნი და მათთან ახმედხანი. მაგრამ საქმე იქამდის არ მივიდა, ლეკები შეშინდნენ, ახმედ-ხანი ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ აიყარა ზაქათალიდან, ჭარ-ბელაქანის მამასახლისებმა მორჩილება განუცხადეს ორბელიანს, რომელმაც ახალი ხელშეკრულობა მოსთხოვა მათ. ჭარ-ბელაქნელნი მოვალენი იყვნენ: მძევლები მიეცათ წარჩინებულ გვარებიდან; ეზღოთ ყაზახის ცხენების ღირებულობა; გამოეჩინათ ტყვედ წამოყვანილნი ქართველნი და რუსნი და თუ ვინიცობაა არ გამოაჩენდენ 1,500 მანეთი ჯარიმა გადაეხადნათ თითოზედ; ნება არ უნდა მიეცათ საქართველოს ასაოხრებლად წამოსულ ურდოებისათვის მათს ადგილ-მამულზედ გამოევლოთ და ვინც არ აასრულებდა უნდა დასჯილიყო რუსეთის კანონების ძალით [15]).

ასეთი იყო ხელმეორედ დადებული პირობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ მოისვენეს ლეკებმა. ძნელი იყო ერთბაშათ იმ ხალხის მოჭკვიანება, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მარტო ცარცვა გლეჯითა ცხოვრობდა და შრომა-გარჯას დაჩვეული არ იყო. ამიტომ დიდი დრო უნდა გასულიყო რომ ისინი დაბუნებებულიყვნენ და წყნარ სოფლურ ცხოვრებისათვის მიეყოთ ხელი. ჭარ-ბელაქნელნი ამ პირობის დადების შემდეგაც არა ერთხელ და ორჯელ აჯანყდნენ და ეცადნენ რუსეთის გამგეობა თავიდგან მოეშორებინათ, მაგრამ ყველაზედ დიდი აჯანყება მოხდა 1863 წელს, რომელსაც ისეთი გამანადგურებელი შედეგი მოჰყვა საინგილოს ქართველთათვის, რომელსაც ვერ შეეძლება თვით შაჰაბაზის აკლება და ყიზილბაშში ტყვედ გარეკვა საინგილოს ქართველებისა. მაგრამ ამაზედ შემდეგ წერილებში.

ზ. ედილი.

ქართული სამართლის ისტორია.

თავი. II.

ქართულ სამართლის უმთავრესი ტერმინები.

როგორც აღნიშნული იყო, უძველეს ხანაში სამართალი დამყარებული იყო ზნე-ჩვეულებაზე. **„ჩვეულებაჲ“** ადამიანის ისეთს ქცევასა ჰქვიან, რომელსაც იგი უნებლიეთ მისდევს, რომელსაც იგი ჩვეულია; გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს მაგალითად რომ „ესრეთ იყო **ჩუეულებაჲცა** მის ჟამისა წინამძღუართა მამათაჲ, რამეთუ თჳნიერ დედისა ფებროიაჲსაგან ზრაკვისა საქმჱ არაჲ კელყვიანო“ (ცხ. გგ. ლ ხ. ჲ, ნზ); იგივე ავტორი ფიქრობს, რომ როცა აშოტ კურაპალატმა სვეა ქალი შეიყვარა, ეს ეშმაკის ბრალი იყო, იმიტომ რომ „პირველ არა აქუნდა ეგე ვითარი ჩუელებაჲ„ო (ibid. ნვ). გიორგი მთაწმინდელიც მოგვითხრობს, რომ „ესე ვითარი **ჩუეულებაჲ** აქუნდა წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს, რამეთუ სამთა დღეთა შჳდეულისათა—ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევსა—სენაკსა თჳსსა მზის დასლვასა პური და წყალი იკმარისო“ (ცხ. ი. ე და ეფ. 39, იხ. აგრეთვე გვ. 32). მაგრამ **„ჩვეულებაჲ“ მარტო კერძო, თვითოეულ ადამიანის ქცევას-კი არ ერქვა, არამედ ადამიანთა მთელ ჯგუფის, გვაროვნობის, წოდების, დასის, ან მთელ ერის ზნესა და ქცევას**: მემატიანე მაგ. ამბობს, რომ ქართლელ აზნაურობამ ბაგრატ II-ის დროს ისევ ზაკვას მიჰყო ხელი „ვითარცა არს **ჩუეულება** ქართლისა აზნაურთა“ (მ. მ. დ. ფს ქ. ცა, 238), ხოლო „ძეგლის წერის“ დამწერნი აღიარებენ, რომ „წარმომადგენლობითი“ გვირგვინის კურთხევისა და ქორწინების წესი საქართველოში **„კაცობრივისა ქცევისა და ჩუეულებისა“** ნაყოფიაო (ქრონიკები II, 66). ამიტომაც არის, რომ ეფთჳმე მთაწმინდელი მეექვსე მსოფლიო კრების

[14]) Акты т. II.

[15]) Рапортъ кн. Орбеліани отъ 2 января 1807 г. лагерь Али-Абатъ, აქტებში. ტ. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების ბერძნულ დედნის κη კანონში სიტყვას ἔθος („ეთოს“) ქართულად სთარგმნის „ჩუეულება“ დ (იხ. მუხ. კთ).

სიტყვა **„წესი“** სხვებზე უფრო ხშირადაა ძველ ქართულ მწერლობაში და არც გასაკვირველია. „წესი“ აღნიშნავს ისეთს ცნებას, რომელიც საზოგადოებრივ სახელმწიფოს და საეკლესიო ცხოვრებაში მუდმივ მოქმედობს. მნიშვნელობით სიტყვა „წესი“ არც სამართალს არც შჯულს და არც კანონს არ უდრის და არ ეთანასწორება; პირიქით ძველ მწერლობაში „წესი“ და „შჯული“ თითქმის ყოველთვის გარკვეულ, განსაკუთრებულ მნიშვნელობით იხმარება და ერთი მეორის მაგიერ არა ზის ხოლმე. **„წესი“ ყველაზედ უწინარესად ჩვეულებას ერქვა.** გიორგი მთაწმინდელი, მაგალითად, მოგვითხრობს: **„წესი“** იყო მამისა ჩუენისაჲ (ეფთუმეჲსა), რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობნ“ო (ცᲮ ი᾽ე და ე᾽ფსი, 40) ან კიდევ **„წესი“** იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ უკეთუ დიდი რაჲმე საქმე არნ, გინა სამეფოჲ, გინა ბჭისაჲ, ეკლესიას დაიუბნის ძმანი“ო (ibid. 41); ამ ორსავე წინადადებაში ავტორი ეფთუმე მთაწმინდელის **ჩვეულებებზე** ლაპარაკობს და აქ სიტყვა „წესი“ ჩვეულებასა ნიშნავს, **ისეთ ჩვეულებას, რომლის აღსრულებაც მონასტრის სხვა ბერებისათვისაც სავალდებულო გახდა და იყო.** ამიტომაც არის, რომ მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ბერძნული დედნის § λγ-ის სიტყვები „ἰουδαϊκοις ἔθεσιν ἕπομενων“ „იუდაჲკო ჲს ეთეზინ ჰეპომენონ“) (ებრაულ **ჩვეულებათა** მიხედვით) თვით ეფთუმემ ქართულად გადასთარგმნა „ესე **წესი** ებრაული არს“ (მუხ. ლ᾽დ); ამნაირივე მნიშვნელობა აქვს „წესს„ გურამ მამფლის სიტყვაში, რომლითაც მან გრიგოლ ხანძთელს მიჰმართა: „უკუეთუ ქუეყანისა ჩუენისა ერის კაცი ვინმე... მიიწიოს იერუსალიმად ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა და იხილის რაჲმე **კეთილი წესი,** რომელ ქრისტიანობასა შუენოდეს და ჩუენ შორის არ იყოს“, შეიძლება თუ არა ჩვენშიც თავის ნებით შემოიღოსო (გრ᾽გლ ხნ᾽ძთს ცᲮ, მᲬ); აქ გუარამს სარწმუნოების სიმბოლო, დოგმატები და კანონები კი არა აქვს სახეში, არამედ კეთილი ჩვეულება, წეს-რიგი. ქრისტიანობაც ხომ ორ უმთავრეს ნაწილისაგან შესდგებოდა; თვითოეულს კეთილმორწმუნეს ჰქონდა „ტკრთი **შჯულისაჲ** და **წესი** ქრისტიანობისაჲ“ (გრ᾽გლ ხ᾽ნძს ცᲮ, მᲬ); ამისდაგვარად თვითოეულ მართმადიდებელს უნდა სცოდნოდა „წესი და შჯული“ (ibid. მთ): შჯული სარწმუნოების აღსარებას, სიმბოლოს და საეკლესიო სამართალს, კანონებს შეიცავდა, **წესი** კიდევ **ცხოვრებისა და ქცევის რიგს, საქრისტიანო და საეკლესიო ჩვეულებას.** ეფთუმე მთაწმინდელიც მეექვსე კრების დადგენილების ξα ბერძნულ დედნის წინადადებას „ταξις αριστη παντος αρχομενου“ ქართულად სთარგმნის **„წესი** კეთილ არს ყ᾽ისავე რ᾽ი იწყებოდეს“ (§ ბ, 84). **ამგვარს გარკვეულს ყოჟა ცხოვრებისა და ქცევის რიგს, აღწერილი იყო იგი, თუ დაუწერელი, მაინც წესი ერქვა.** რაკი მონაზონების ყოველდღიური ცხოვრება სამუდამოდ გარკვეულ რიგზე იყო დამყარებული, დილიდან დაწყობილი მეორე დილამდის მათი თვითოეული მოქმედების დრო და ხანიათი წინდაწინვე განსაზღვრული იყო; დილით ერთ დროს დგებოდნენ, ერთ დროს ლოცულობდნენ ეკლესიაში, ერთად, ერთსა და იმავე დროს სადილობდნენ და ერთს დროს იძინებდნენ ხოლმე, ამიტომ ამ გარკვეულს **სამონასტრო ცხოვრების რიგსაც „წესი“ ერქვა.** უფრო ხშირად იგი დაწერილი ინახებოდა ხოლმე თვითოეულ მონასტერში, მაგრამ შეიძლება დაუწერელიც ყოფილიყო და მხოლოდ ზეპირი გარდმოცემითა და ჩვეულებით სცოდნოდათ; გიორგი მთაწმინდელის შესახებ მაგალითად ნათქვამია, რომ მან ქართველ საზოგადოებასა და სამღვდელოებას „**წესნი** დაუსხნა **წერით** და **დაუწერელად**“ (ცᲮ გ᾽ი მ᾽თწ᾽Ხ გვ. 328). სამონასტრო ცხოვრებისათვის სახელმძღვანელო და სავალდებულო დებულებას ან დამფუძნებელი ადგენდა ხოლმე, ან თვით ძმობა ერთობლივ; მაგალითად ხანძთაში თვით გრიგოლ დამაარსებელმავე „განაწესა **წესი** თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ“ (ცᲮ გრ᾽გლ ხნ᾽ძᲮ, კ); დავით აღმაშენებელი კიდევ მოგვითხრობს, რომ შიო მღვიმის მონასტრისათვის ჩემის მოძღვრის რჩევით **„წესსა ზედა სჳმონ—წმიდისასა** დავხსენ **მონასტრისა** მღვიმისა **წესი** (შ᾽ო მ᾽ს საბ. 16). ეს იყო მონასტრის სავალდებულო **წესდება,** სადაც წევრების მიღების შესახებ, შინაურ და საეკლესიო („**წესი** ლოცვისა“, ცᲮ ი᾽ე და ე᾽ფი, 53) ყოფაქცევაზე, მონასტრისა და მის ქონების გამგეობაზე („**საკელაროჲსა წესი**“ ibid. 49). ეწერა და თვითოეულ წესდების მუხლის დარღვევისათვის გარკვეული სასჯელი იყო დაწესებული. *) გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ იოანე მთაწმინდელმა სიკვდილის წინ „უფლებაჲ მამასა ეფთუმეს მისცა, რათა, **რომელიცა** განგებაჲ და **წესი** ენებოს, იგიცა

*) იხ. ხანძთის მონასტრისა (ცᲮ გ᾽გლ ხ᾽ნძᲮ, გვ. პ პ), ბერონისა (ცᲮ ი᾽ე და ეფ᾽ფსი 35 53) და ვ᾽ჰანის **მონასტრის ტიპიკონები** (შ᾽ო მ᾽ს **სბთ᾽ბი** 30—43).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდვას მონასტერსა და მას ზედა განკანონოს“-ო (ცხ ი ე და ეფ ესი, 22); როცა გრიგოლ ხანძთელმა სამონასტრო წესდების წინააღმდეგ თავის მონასტერში ორი უწვერული ჭაბუკი შემოიყვანა, ბერებმა იუცხოვეს და თავიანთ სულიერ მამას უსაყვედურეს: **„წესსა შენგან დამტკიცებულსა“** შენვე არღვევ, შენი საქციელი სამონასტრო წესდებას ეწინააღმდეგება, „**გარეშე წესისა** არს საქმე ესე“-ო (ცხ გრ გლ ხნ ძ კბ) **).

„წესი მართო სამონასტრო-საეკლესიო წესდებასა, დებულებასა და ჩვეულებას-კი არ ერქვა, არამედ სამოქალაქოს, სახელმწიფოსაც; მაგალითად იმ გარკვეულს ჩვეულებებსა და რიგსა, რომელსაც ქართველ მეფეების დარბაზობის დროს მისდევდნენ და ასრულებდნენ, ერქვა „**წესი სახლისა სახელმწიფოსი**“ (მ მ დფ ს ქ ცა, 426 ქ ცა 420) და **დარბაზობის** წესი (მ მ დფ ს ქ ცა 459); დარბაზობის დროს მხოლოდ განსაზღვრულს დიდებულ მოხელეთა ჯგუფს შეეძლო მეფის წინაშე მჯდარიყვნენ, სხვები უნდა მდგარიყვნენ; ამას გარდა იმათ შორისაც, ვისაც ჯდომა შეეძლოთ, ზოგს სასთაულის უფლებაც ჰქონდა, ზოგნი-კი უსასთაულოდ უნდა მსხდარიყვნენ; ამის შესახებ გარკვეული, მტკიცე დებულება არსებობდა, რომელსაც ერქვა **„წესი ჯდომისა და დგომისა“** (მ მ დფ ს ქ ცა 470); იმ ჩვეულებებს, რომლითაც სტუმარი და მასპინძელი ერთმანეთს დარბაზობის დროს მიესალმებოდნენ **ხოლმე „მოკითხვის წესი“** ერქვა (მ მ დფ ს ქ ცა 459 და 470); დასასრულ იმ ჩვეულებებს, რომლითაც მიცვალებულ მეფის დატირებისა და გლოვის დროს მისდევდნენ და ასრულებდნენ **„გლოვის წესი“** ეწოდებოდა (მ მ დ ფ ს ქ ცა 393); ზოგი წესი ჩვეულებაზე იყო დამყარებული, ზოგი კიდევ, **მეფეთაგან წესებული** იყო (მ მ დფ ს ქ ცა, 238). თავის დალოცვაში გრიგოლ ხანძთელმა აღნიშნა ბაგრატ კურაპალატის ღვაწლი და სთქვა „გლახაკთა ნაწილი (საქველმოქმედო) თქუენ მიერ **განწესებულ** არს“-ო (ცხ გრ გლ ხ ნ ძ, ლ ბ). ერთი სიტყვით **„წესი“ მართვა-გამგეობის ჩვეულებას, რიგსა და დებულებას ერქვა** და **არა სასამართლო კანონს.**

სიტყვა „**განგება**“-ს თითქმის **იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც „წესს.“** მაგალითად გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში საბაწმინდური **სამონასტრო წესი იწოდება** „საბაწმიდისა **განგებაჲ**“-დ(იხ. გვ. კ); როცა ამ ცხოვრების ავტორი ხანძთის სამონასტრო წესის აღწერას იწყობს, იგი აღნიშნავს, „**განგებაჲ** ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა ამას არამედ თითო სიტყუაჲ ყოვლისაგან“ (ibid კ), შემოკლებული შინაარსი წესდებისაო; გიორგი მთაწმინდელის თხზულებიდანაცა სჩანს, რომ სამონასტრო წესი, ანუ ტიბიკონი „განგება“-დაც იწოდებოდა, იგი რომაულ ეკლესიაში განთქმული ბენედიკტეს სამონასტრო წესდებას „**განგება**“-ს უძახის და მოგვითხრობს, რომ ქართველების მეგობარი რომაელი ბერები ათონის მთაზე „ცხოვნდებიან კანონსა და **განგებასა** ზედა წმიდისა **ბენედიკტესსა**“-ო (ცხ ი ე და ეფ სი, 31).

მარტო სამონასტრო ტიბიკონი-კი არა, **საეპისკოპოსოს წესსა და რიგს, სარგოსა და შემოსავლის განჩინებასაც „განგება“-ს ეძახდნენ;** ისტორიკოსი, მაგალითად, მოგვითხრობს, რომ როცა ლეონ აფხაზთა მეფემ მოქვის ეკლესია აშენა და საეპისკოპოზო საყდრად გახადა, „განასრულა ყოვლითა **განგებითა**“-ო (მ მ დფ ს ქ ცა, 233).

„განგება“ საზოგადოდ გამართვას, მოწყობასა ნიშნავდა: როცა მაგალითად გიორგი მთაწმინდელი გვამცნებს, რამდენად მძიმე იყო ათონელ ქართველ ბერებისათვის ვენახში მუშაობა, აღნიშნავს რომ ახალნერგი ვენახი ჰქონდათ და ვაზებს „ყოველთა სარითა **განგებაჲ** უნდა-ო“ (ცხ ი ე და ეფ სი, 47), სარის შედგმა სჭირდებოდაო. საზოგადო, **საეკლესიო, ან სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებასა და განმართვასაც „განგება“ ეწოდებოდა;** მაგალითად როცა, გუარამ მამფალმა დაინახა, რომ ქართველ სამღვდელოებას ეწყინა და იუკადრისა მისი ჩარევა კათალიკოზის არჩევანის საქმეში, ფიცხლავ უკან დაიხია და დაუთმო; „თქუენგან ჯერ არს განსაგებელი **განგებად-“ო** (ცხ გრ გლ ხ ნ ჲ, მზ); გიორგი მთაწმინდელიც მოგვითხრობს, რომ ოანე ათონელმა სამონასტრო საქმეების მართვა თავის შვილს ეფთვმეს უანდერძა, „შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს“-ო (ცხ ი ე და ეფ სი, 22); ხოლო მამის სიცოცხლის დროსაც ეფთვმე „**განაგებდა საქმეთა** მონასტრისათა, ვითარცა იკონომოსი“ (ibid. 21) სახელმწიფო მართვა-გამგეობასაც „**განგება**“ ერქვა; მემატიანე მოგვითხრობს მაგალითად, რომ გიორგი აფხაზთა მეფემ „**განაგნა** და განაწყუნა ყოველნი **საქმენი** კეთილნი მამულსა და **სამეფოსა** თჳსსა (მ მ დ ფს ქ ცა), 229); ხოლო როცა ბაგრატ მე-III-ე ქართლისა და აფხაზთა მეფედაც დასვეს, იმავ მემატიანეს სიტყვით იგი „გარდამოვიდა ქართლს, რათა **განაგნეს საქმენი** დაშლილნი ქართლისანი“; მაგრამ ქართლის აზნაურებს მისი მოსვლა არაფრად მოეწონათ, „რამეთუ თჳთეულად **განაგებდეს საქმეთა** ქართლისათა“ (ibid. 239). ამისდა მიხედვით **ყველა სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეებს „განსაგებელი“ ეწოდებოდა;** გიორგი მთაწმინდელი სწერს, რომ როცა ბასილი და კონსტანტინე მცირე წლოვანები იყვნენ, „ყოველი **განსაგებელი** დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა“-ო (ცხ ი ე და ეფ სი 10).

ი. ჯავახიშვილი.

(შემდეგი იქნება).

**) რაკი სამღვდელოება და მონაზონები საეკლესიო წესის მიმდევარნი და მსახურნი იყვნენ, იმიტომ სასულიერო პირს ზოგჯერ „მოწესეს“ უძახდნენ: „მოწესენი და ერის კაცნი“ (ძეგლის წერა, ქრონიკები II, 68.

რედაქტორ-გამომცემელი სვ. ყიფიანი.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.